პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მომწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მომწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 28 (880) კვირა 3, თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 28 (880)

დღიური

ინგლისი სცნობს იურიდიულად საბჭოთა კავშირს.

იტალია სცნობს საბჭოთა კავშირს.

გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელზედაც ბელგიის მუშათა პარტიის [illegible] განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს ლენინსა და რუსეთის რევოლიუციას.

ავსტრიაში მოხდა უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაცია.

ინდოეთში უმუშევართა რიცხვი უდრის 140 ათასს.

ინგლისი და იტალია სცნობენ იურიდიულათ საბჭოთა კავშირს

ამ დღეებში ლონდონში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, თითქოს მაკდონალდის მთავრობას განზრახვა აქვს გაგზავნოს მოსკოვში სპეციალური მისია რომლის მოვალეობა თითქოს უნდა ყოფილიყო გამოერკვია, რამდენათ შესაძლებელია საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობა. ამ ხმების შესახებ მუშათა პარტიის ოფიციალური ორგანო „დეილი ჰერალდ“-ში მოთავსებული იქნა წერილი, რომლის დედა აზრი ნაკარნახევია მთავრობის მიერ. იქ ეწერა შემდეგი:

„მთავრობას არ ესაჭიროება მისიის გაგზავნა საქმის გამოსარკვევათ, რადგან საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ უკვე გადაწყვეტილია“-ო.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ რადიო-ტელეგრამას ლონდონიდან, რო[illegible] ცნობას.

დიდი ბრიტანეთის „მუშათა მთავრობამ“ გადაწყვიტა იცნოს იურიდიულად საბჭოთა კავშირი და ვადასცა თავის წარმომადგენელს მოსკოვში, ხოდჯსონს, აცნობოს ამის შესახებ მთავრობას. [illegible] ოფიციალური, [illegible] იტალიის შესახებაც, რომელიც, ცნობს რა, ისევე იურიდიულათ, საბჭოთა მთავრობას, წინადადებას აძლევს მას, დაწყებული იქნას მოლაპარაკება პრაქტიკული კითხვების მოსაგვარებლათ.

ჩვენ არ ვიცით დღეს კიდევ გარკვეულად შინაარსი ინგლისის ნოტის, რომ საშუალება გვქონდეს შევაფასოთ ის საქმიანი [illegible] და [illegible] ბულებანი, რომლებსაც საფუძვლად უდებს ორივე დაინტერესებულ ქვეყნისათვის მაკდონალდის მთავრობა, მაგრამ ეს ვერ შეგვიშლის ხელს შევაფასოთ მოკლეთ საერთო აზრი ამ დიდი აქტის.

უმთავრესია ამ შემთხვევაში ის, რომ ამ აქტით კიდევ უფრო მტკიცდება როგორც საერთაშორისო, ისე შინაური მდგომარეობა საბჭოთა კავშირის.

ბევრი სიხარულს მიეცა იმის გამო, რომ დიდი უბედურება, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ქვეყნებს ბელადის დაკარგვით, შეარყევდა მათ მდგომარეობას. ეს იყო, რასაკვირველია, დიდი ილიუზია და ამაში მალე დარწმუნდენ ბურჟუაზიული ქვეყნების დღევანდელი მესვეურებიც. იურიდიულათ ცნობა ჩვენი კავშირისა ინგლისისა და იტალიის მთავრობათა მიერ მაჩვენებელია იმისი, რომ ისინი სინამდვილის დარწმუნებ[illegible]თან გამოდიან და რეჟიმის სიმტკიცეში. ერთხელ კიდევ (და რამდენჯერ) იმედები დაემსხვრა ჩვენ მტრებს, რომლებიც განაგრძობენ თავის კვებას ამ ფუჭი ილიუზიებით.

მუშურ-გლეხური მთავრობა მტკიცეთ სდგას თავის ადგილზე, გამაგრებული მთელი მშრომელი ხალხის ნდობითა და სიყვარულით. ის განაგრძობს ყოველდღიურ მუშაობას ახალი ქვეყნის ასაშენებლათ, მას ვერ შეარყევს დიდი ბელადის დაკარგვა და, რასაკვირველია, ვერასფერს დააკლებს მას მტრების უძლური სისინი. იურიდიულათ ცნობა დიდ სახელმწიფოთა მიერ, მის წინ შლის ფართო პერსპექტივებს, ქმნის ახალ შესაძლებლობათ, რომლებითაც ის მოხერხებულათ ისარგებლებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-კულტურული განვითარებისათვის.

ლენინი და კოოპერაცია

ეხლა, როდესაც აღარ გვყავს ჩვენი ძვირფასი ბელადი ამხ. ლენინი, ყოველმა მისმა მოწაფემ, ყოველმა მისმა მიმდევარმა უნდა იფიქროს იმ საქმის გაგრძელებაზე, რომელიც ლენინმა დაიწყო.

ამხ. ტროცკის სიტყვები: „მისი პასუხისმგებლობა გაიზარდა, გახდი აღმზრდელი ბელადის ღირსი“—ყოველ წამს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ, ლენინელები უნდა გავჟღინთოთ ჩვენი ტვინი და აზრი, ჩვენი სხეულის ყოველი ატომი ლენინის მოძღვრებით.

ლენინის სიტყვა არის საქმე, ლენინის მოძღვრება არის ის გზა, რომლის განვლით დასრულდება ახალი კაცობრიობის შექმნა, რომლის საფუძველი არის შრომის ბატონობა. არ არის არც ერთი კითხვა, რომელიც ხელს უწყობს შრომის განთავისუფლებას და რომელსაც არ შეეხებოდეს ამხ. ლენინის გენიალური აზრი და არ მიეცა მისთვის გარკვეული გზა და მიმართულება. ერთ ასეთ კითხვათაგანს შეადგენს კოოპერაციის საკითხი, რომელსაც ამხ. ლენინი შეეხო თავის უკანასკნელ ორ წერილში.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ კითხვას დღემდის უფრო ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

ამხ. ლენინი თავის წერილში კოოპერაციის შესახებ სწერს: „კოოპერაციას ჩვენში უყურებენ ბლმაცერათ და არ იციან თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას პირველი—პრინციპიალური მხრით (საწარმოო საშუალებათა საკუთრება სახელმწიფოს ხელში) და მეორე—გადასვლის მხრით ახალ წყობილებაში უფრო უბრალოდ, ადვილად და მისაწვდომათ გლეხისათვის“.

„ერთი საქმეა ოცნებობა მუშათა სხვა და სხვა შეკავშირებაზე სოციალიზმის საშენებლათ და მეორე საქმეა ისწავლო სოციალიზმის პრაქტიკული შენება ისე, რომ ყოველმა წვრილ გლეხმა შესძლოს ამ შენებაში მონაწილეობის მიღება“.

და აი, ამ დარგში ძალიან, ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

ამხ. ლენინი მეტათ უბრალოთ, დაწვრილებით და ყველასათვის გასაგებათ გვასწავლის, თუ როგორ უნდა აშენო კოოპერაცია, როგორ რა საშუალებით უნდა მიაღებინო მთელ მოსახლეობას ნამდვილი მონაწილეობა მასში; როგორ უნდა დააინტერესო გლეხი, რომ ის გახდეს ნამდვილი მონაწილე კოოპერატიულ მშენებლობის, როგორი დახმარება უნდა მიეცეს მას და როგორ უნდა აწარმოოს და ივაჭროს მ. ნ. „არ არის საჭირო გახსენება იმისა, თუ რამდენი ასეული და კიდევ ასეული მილიონი მანეთი ღირდა „თავისუფალი“ კაპიტალის დაბადება. ეხლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და შევისისხლხორცოთ საქმით, რომ ეხლანდელ დროში ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვეულებრივზე უმაღლესათ უნდა დაუჭიროთ მხარი, არის კოოპერატიული წყობილება“.

ამხ. ლენინი, როგორც ნამდვილი პრაქტიკი, როგორც ნამდვილი კოოპერატორი საჭიროთ სცნობს, რომ კოოპერაციას მიეცეს ყოველგვარი შეღავათი ახალ ეკონომიურ პირობებში და ეს შეღავათი და დახმარება უნდა იყოს ქონებრივი, მატერიალური.

მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას ამხ. ლენინი აქცევს იმას, რომ ჩვენ გავხდეთ „შეგნებული და მცოდნე მოვაჭრენი“. თუ დღემდის კოოპერაცია კოჭლობს, ამის მიზეზი არის სწორეთ ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ ვერ ვისწავლეთ ვაჭრობა ისე, რომ კოოპერატიული ვაჭრობით დავაინტერესოთ მთელი მოსახლეობა. ჩვენ ვერ შევძელით ჯერ კოოპერატიული ორგანიზაციების მთელ მოსახლეობაში მოფენა. საბჭოთა წყობილება, რომელიც არის მთელი მშრომელთა აქტიური, ნამდვილი ახალი ცხოვრების აღმშენებლობის წყობილება, იძლევა საჭირო ძალას და საშუალებას კოოპერატიულ აღმშენებლობისათვის.

ჩვენ კოოპერაციის ლოზუნგი უნდა გამოვაცხადოთ ერთ მთავარ ლოზუნგათ, კოოპერაცია ჩვენ უნდა გავხადოთ ბრძოლის ფრონტათ. ვინ უნდა წავიდეს ამ ფრონტზე? ყოველივე მუშა, გლეხი, პარტიული და უპარტიო ყველა ის, ვინც პატივსა სცემს ლენინს, ყველა ის, ვინც ამხ. ლენინის მოძღვრების მიმდევარია.

გვახსოვდეს, რომ ლენინს არ უყვარდა მარტო სიტყვა, მას მუდამ აინტერესებდა ნამდვილი საქმე.

აი, ამ საქმეს მოვკიდოთ ეხლავე ხელი, რომ ღირსი გავხდეთ აღმზრდელი ბელადის.

ქ. ჩხენკელი.

სახალხო მასწავლებლის როლი სოფლად

სახალხო მასწავლებელს დიდი კულტურული ამოცანები აწევს სოფლად. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქალაქის და სოფლის დაკავშირება პირველხარისხოვანი და გადაუდებელ კითხვად იქნა გამოცხადებული. ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ მეტად ღარიბია იდეურად, კულტურულად. რომელიმე მივარდნილი კუთხე საქართველოში (მთიულეთში, ქართლში და სხ.) ჯერ კიდევ ძველი საუკუნოების ეპოქით სუნთქავს.

სოფელი უნდა ეზიაროს ახალ, თანამედროვე ქალაქის კულტურით. მისი შემეცნება უნდა მოშორდეს მთვარეს და ეზიაროს ელექტრონს. თოხი, გუთანი უნდა შეიცვალოს მანქანებით. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მომავლის საკითხებია. მაგრამ არის დღიური, გადაუდებელი ამოცანებიც, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სოფლელის პოლიტიკურ ანბანში გაწვრთნა, ახალგაზრდობის შრომის პრინციპებზე აღზრდა, საბჭოთა იდეის დანერგვა სოფლად და მისდამი სამსახური და სხვა მრავალი.

ვის უნდა ევალებოდეს ეს ამოცანები? ვის შეუძლია მისი შესრულება? აშკარაა, პირველ ყოვლისა სახალხო მასწავლებელს. ყველაზე უფრო იგრძნო ეს ამხ. ლენინმა თვის ერთ ერთ უკანასკნელ წერილში—სახალხო განათლების შესახებ.

მასწავლებელი ერთად-ერთი კულტურული ძალაა სოფლად. უმთავრესად მას შეუძლია იტვირთოს ეს ფრიად პასუხსაგები საქმე. აქედან უდიდესი როლი, რომელსაც ჩვენი სინამდვილე აკისრებს სახ. მასწავლებელს, აქედან—ის დიდი ყურადღება [illegible] სოფლის მასწავლებლის.

მაგრამ შეძლებს კი სოფლის მასწავლებელი მასზედ დაკისრებულ დიდ მოვალეობის შესრულებას? მზად არის ის იტვირთოს ეს საქმე?

ჩვენ გვეჭირდება ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა.

დღევანდელი მასწავლებელი [illegible]ტია კულტურულად. ცხოვრება დღეს უფრო რთულ და უფრო ძნელ ამოცანებს აყენებს, ვინემ ეს იყო ოდესმე. სახალხო მასწავლებელი ჩამორჩა ამ კითხვებს. ამ [illegible] [illegible]ბით მიზეზების გამორკვევას. საინტერესოა თვით ფაქტი. სოფლის მასწავლებელი დამშეულია იდეურად მას სჭირდება წახალისება და დიდი წახალისებაც. ვინაიდან იდეური დამშევა ხშირად ქმნის ფსიქოლოგიურ სიმდაბლეს, მოდუნებას, სოფლის მასწავლებელი უნდა შეი[illegible] კულტურულად. უნდა გამოცოცხლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ემსახურება ახალ საქმეს. გამოსადეგი დარჩება თანამედროვე სკოლისთვის. მხოლოდ „დედა ენა“ და არითმეტიკულ ოთხ მოქმედების ცოდნა დღეს სასაცილო შთაბეჭდილებას ქმნის.

აქედან გადაუდებელი ამოცანა: მასწავლებლის გადახალისება (გადამზადება) და სერიოზული გადახალისება.

ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს? აშკარაა განათლების მუშაკთა კავშირმა, განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად. მართალია, ამ მიმართულებით მუშაობა სწარმოებდა. ზაფხულის განმავლობაში გადახალისების (გადამზადების) სპეციალური კურსებიც მოეწყო მთელ რესპუბლიკაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც და მაინც დიდ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

პროვინციაში კიდევ შეხვდებით მასწავლებელს ჩაგლეჯილ, ძველ გახუნებულ „პიჯაკში“, ხურჯინით მხარზე, წელში მოხრილ, გაბურძგნილ წვერ-ულვაშით. ალბად ძველი კაკარდიანი ქუდი (რომელსაც სამწუხაროდ ეხლაც ატარებენ) თუ მოგაგონებთ, რომ ის სოფლის მასწავლებელია.

[illegible] იქნება სახელი მისი.

მიმდინარე თებერვალში განათლების მუშაკთა კავშირი აწყობს მასწავლებელთა საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადამზადების კვირეულს. ეს დიდი ნაბიჯია განათლების გაჯანსაღების საქმეში.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მესამე ყრილობაზე (რომელიც მოწვეულია 12 თებერვალს) დღის წესრიგშიც დასმულია კითხვა სახალხო მასწავლებლის როლის შესახებ სოფლად.

ყრილობამ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ეს დიდი კითხვა და ღირსეული პასუხი გასცეს მას.

ა. ბ—ძე.

შინაური ვაჭრობის კომიტეტების თათბირი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

შრომის და თავდაცვის საბჭოსთან ჩატარდა საკავშირო რესპუბლიკების შინაური ვაჭრობის კომიტეტების თათბირი. გარდა ცალკე რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, თათბირს დაესწრენ რუსეთის გუბერნიების სავაჭრო ორგანოების წარმომადგენლებიც. თათბირზე გაირჩა საკითხები: შინაური ვაჭრობის მოწესრიგების ამოცანები და მეთოდები; ფასების მოწესრიგება ცენტრში და ადგილობრივ და შინაური ვაჭრობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების შესახებ.

ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ თათბირმა მიიღო დადგენილება, სადაც დაწვრილებით აღნიშნულია საბჭოთა ვაჭრობის პოლიტიკა, ამოცანები და პრაქტიკული ზომების მთელი რიგი, რომელნიც მიმართული არიან ერთი მხრივ ვაჭრობის განვითარებისაკენ და მეორე მხრივ იცავენ ფართო მასის ინტერესებს, განსაკუთრებით კი სოფლის გლეხობას. ვაჭრობის ფართო განვითარებისათვის თათბირმა სცნო აუცილებლათ ბაზრის კონიუნქტურის ყოველმხრივი შესწავლა და იმისდამიხედვით სახელმწიფო ვაჭრობის პოლიტიკის შექმნა. არა ნაკლები მნიშვნელობა მიეცა აგრეთვე ვაჭრობის უფლებრივ მდგომარეობის ჩამოყალიბებას—სავაჭრო კანონმდებლობის შექმნით. ცნობილ იქნა მტკიცე ფულზე დაჩქარებით გადასვლა და ამ რეფორმას გატარების დროს ვაჭრობის ინტერესების მხედველობაში მიღება.

მიღებულ იქნა მხედველობაში ვაჭრობის საქმეში კრედიტის მნიშვნელობა. კრედიტის განაწილება უნდა სწარმოებდეს განსაზღვრულ გეგმით. ფართოთ უნდა მიეცეს კრედიტი ძირითად სავაჭრო ორგანოებს. კრედიტის გამცემ ორგანოებში უნდა შეყვანილი იქნან სავაჭრო ორგანოების წარმომადგენლები. აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ აგრეთვე სავაჭრო ორგანოები მრეწველობის მუშაობის გეგმების შედგენაში, გადასახადის დაწესებაში, სატრანსპორტო და საბაჟო ტარიფების განსაზღვრაში და სხვა ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებში.

კერძო ვაჭრობის შესახებ, რომელიც წვრილ ვაჭრობაში შეადგენს 80 პროცენტს. თათბირი თუმცა სცნობს, რომ ჩვენი მიზანია კერძო კაპიტალის სრული ჩაკვლა, მაგრამ მოკლე დროში კერძო ვაჭრობის სრულ განდევნას ან საგრძნობლათ შემცირებას შეუძლებლათ სთვლის. სახელმწიფო ვაჭრობა უმეტეს ნაწილად ეწევა და უნდა ეწეოდეს საბითუმო ვაჭრობას. ეს არის მისი უმთავრესი საქმე. წვრილ ვაჭრობას ის აწარმოებს რამდენათაც შესაძლებელი იქნება. წვრილ ვაჭრობაში უნდა ჩაებას კოოპერაცია და მან უნდა გაამრავლოს ძირითადი ორგანოები. სახელმწიფო თავის საბითუმო ვაჭრობით და სხვა ზომებით უნდა განსაზღვრულ ფარგალში აყენებდეს წვრილ ვაჭრობას.

სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოების გასაღების [illegible] საჭიროთ იქნა ცნობილი სავაჭრო აპარატის გამარტივება და გაიაფება, ზედმეტი ხარჯების შემცირება, გაციმის ფასების დაწესება, დამატების მაქსიმუმის განსაზღვრა და აგრეთვე ზოგიერთ პირველ მოსახმარ საგნებზე მტკიცე ფასების დაწესება. საჭიროთ იქნა ცნობილი სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების ბაზარზე შეთანხმებით გამოსვლა რაიონების განსაზღვრით და სხვა ზომებით.

თათბირმა მიიღო დადგენილება **შინაური ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ**, რომელსაც დაევალება ვაჭრობის საქმის მეთვალყურეობის, მოწესრიგების და ხელმძღვანელობის ფუნქციები. კომისარიატი უნდა იქნეს სადირექტივო. ცალკე საკავშირო რესპუბლიკებში უნდა მოეწყოს ცალკე კომისარიატები. გუბერნიებში ამ კომისარიატის ორგანოთ იქნებიან აღმასკომების შინაური ვაჭრობის ცალკე განყოფილებები.

ლან—ძე.

მოსკოვი, 17 იანვარი.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

გერმანიის და რუსეთის მუშების კავშირისათვის

ბერლინი. 31 იანვარი. მოწოდებაში, რომელიც გამოშვებულია გერმანიის კომპარტიის ცეკას მიერ—ლენინის გარდაცვალების გამო, ხაზგასმულია, რომ **მენშევიზმი დაიშალა, ლენინიზმმა კი გააერთიანა პროლეტარიატი და მოაწყო პროლეტარული რევოლიუცია.** მიუხედავათ დევნა-შევიწროვებისა მთავრობის მხრივ, **გერმანიის კომპარტია განახორციელებს ლენინის აღთქმებს.**

„ლენინი სცოცხლობს მრავალმილიონიან პროლეტარიატის გულში. **გერმანიის მუშების ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა მახვილი ბრძოლის გაძლიერება შრომის ხელფასისა და 8 საათის სამუშაო დღისათვის პარტიამ უნდა აწარმოოს ეს ბრძოლა და მასიურ ფორმების ხაზგასმით ნიადაგი მოუმზადოს შეიარაღებულ აჯანყებისათვის“.** მოწოდება თავდება ფიცით იმის შესახებ, რომ **გერმანიის კომპარტია შეუდრეკლათ იბრძოლებს კომუნისტურ იდეალების განხორციელებისათვის, მოწოდება აღნიშნავს, რომ გერმანიის და რუსეთის პროლეტარიატის კავშირი შექმნის ძლევამოსილ არმიას, რომელიც აფრიალებს რევოლიუციონურ დროშას ყველა ქვეყნებში.**

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

დიდი ბრიტანეთი და იტალია სცნობენ საბჭოთა კავშირს

ინგლისი

ლონდონი. 2 თებერვალი. როგორც „დეილი მეილი“ იუწყება დიდი ბრიტანეთი სცნობს საბჭოთა მთავრობას. შემდეგი დებულებები ამოღებულია იმ ნოტიდან, რომელიც აცნობა დღეს საბჭოთა მთავრობას ბრიტანეთის წარმომადგენელმა მოსკოვში ხოჯსონმა.

დიდი ბრიტანეთი სცნობს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს, როგორც იურიდიულ მმართველს ძველი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებისა, რომლებშიც იცნობენ მისი ავტორიტეტი. მეგობრულ ურთიერთობისა და ყოველგვარ სავაჭრო დამოკიდებულებისათვის ნორმალურ პირობების შექმნის მიზნით. საჭიროა დადებულ იქნას საზოგადო პრაქტიკული შეთანხმება სხვადასხვა საკითხებში. ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა, საერთაშორისო კანონთა პრინციპების თანახმად, ავტომატიურად მოიყვანს ძალაში ორივე მხარეს შორის რევოლიუციამდე დადებულ ყველა ხელშეკრულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც შეწყვეტილი ან გაუქმებული იქნენ.

აუცილებელია გადაწყვეტილ იქნეს მთავრობების და მოქალაქეების მოთხოვნილებები, რომელნიც ურთიერთ წარდგენილი იქნებიან ორივე მხარის მიერ; ეს მოთხოვნილებები ტექნიკურათ დაკავშირებული არ არიან საბჭოთა მთავრობის ცნობასთან, მაგრამ მათ უეჭველად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. აუცილებელია აგრეთვე რუსეთის კრედიტის აღდგენა. დაწესებულია აგრეთვე, რომ ჭეშმარიტი მეგობრული დამოკიდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოთ აღდგენილათ, თუ ერთ მხარეს აქვს საფუძველი ეჭვი შეიტანოს მეორე მხარის მიერ პროპაგანდის წარმოებაში მისი ინტერესების წინააღმდეგ, როდესაც ეს პროპაგანდა მიმართული იქნება მისი წესწყობილების დამხობისაკენ.

დიდი ბრიტანეთი წინადადებას აძლევს რუსეთს გაგზავნოს საჩქაროთ თავისი წარმომადგენლები იმისათვის, რომ განხილული და დაწესებული იქნეს ბაზა ხელშეკრულების დადებისათვის, რის შემდეგაც ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს ხოჯსონს ეწოდება ბრიტანეთის ელჩის ხარისხი, ამასთანავე საბჭოთა წარმომადგენელს ეწოდება ელჩის სახელწოდება სენ ჯემის სასახლესთან.

იტალია

ბერლინი. 2 თებერვალი. იტალიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიაც სცნობს რა უკანასკნელს იურიდიულათ, წინადადებას აძლევს მას მოხდეს პრაქტიკული შეთანხმება საკითხების შესახებ, განსაკუთრებით კი ურთიერთ ვალდებულებათა. შეიძლება, რომელიც დაკავშირებული უნდა იქნენ წინანდელ ხელშეკრულებებს და კონტრაქტებზე.

გერმანიის მთავრობა „სადარაჯოზე“

პროფკავშირთა არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები

[illegible] კომპარტიის მოწოდება: გამოშვებულ მოწოდებაში კომპარტია აღნიშნავს, რომ მენშევიზმი დაიშალა ხოლო ლენინიზმში [illegible] პროლეტარული ძალები და მოამზადა პროლეტარული რევოლიუცია.

სხვადასხვა [illegible]: ბევრ ადგილებში უმუშევრებმა უარი განაცხადეს იძულებითი მუშაობაზე.

გერმანია და ანტანტა რაიონებში გრძელდება მუშათა გაფიცვა და ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისათვის.

ოფიციალური პრესა დიდ იმედებს ამყარებს ექსპერტების კომისიაზე.

კომუნისტების გამარჯვება

[illegible] კომუნისტების [illegible].

ბერლინი. 31 იანვარი. პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტების არჩევნებში მთელ [illegible] კომუნისტებს ხელში აქვს [illegible] უმრავლესობა. [illegible] მეტალისტების კავშირში კომუნისტებმა [illegible] 7 ადგილი [illegible] კენიგსბერგში [illegible] წარმოებებში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნებში, კომუნისტებმა მიიღეს 30 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა—6.

მუშების ბრძოლა

საფაბრიკო კომიტეტების დირექტივების მიხედვით.

ბერლინი. 31 იანვარი. რეინ-ვესტფალიის [illegible] ბრძოლა სამუშაო დროს გაგრძელებისათვის. იზერლონში ქალებმა მოხსნეს წარმოებებიდან მუშები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს, მეწარმეები ცდილობდენ სეპარატიული მოლაპარაკება დაიწყონ მუშებთან, მაგრამ უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ ისინი საქმეებით ემორჩილებიან [illegible] საფაბრიკო კომიტეტების განკარგულებებს.

პროტესტის ნიშნათ.

ბერლინი. 31 იანვარი. გაგენის მუნიციპალიტეტი ითხოვს კომუნალურ წარმოებების გაფიცულ მუშებს და სამუშაოზე იწვევს ტექნიკურ დახმარების რაზმებს. პროტესტის ნიშნათ [illegible] მოხსნიბმა შეწყვიტეს მუშაობა.

უარს თქვა იძულებით სამუშაოზე.

ბერლინი 31 იანვარი. მთელ რიგ ოლქებში უმუშევრები უარს ამბობენ იძულებით სამუშაოზე.

[illegible]

[illegible] დემონსტრაციის [illegible].

ბერლინი 3 იანვ. [illegible]

გერმანია და ანტანტა

იმედი აქვთ ექსპერტთა კომისიის.

ბერლინი. 31 იანვარი. გერმანიის ოფიციალური პრესა დიდ იმედებს ამყარებს ექსპერტთა კომისიაზე და დიდ მნიშვნელობას აძლევს „ლიბრ ბელჟიკ“-ის ცნობას იმის შესახებ, რომ ექსპერტთა კომისია მოითხოვს რურის ევაკუაციას.

ხმები [illegible] კონფერენციის შესახებ.

ბერლინი 31 იანვარი ხმების მიხედვით, მარტში შედგება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს კონტრიბუციის შესახებ.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა

საკითხი სოციალისტ-კომუნისტებთან გაერთიანების შესახებ.

მარსელი 31 იანვარი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე ირჩეოდა საკითხი პარტიის სოციალისტ-კომუნისტების კავშირთან (ფროსარის ჯგუფი) გაერთიანების შესახებ. ყრილობა ერთხმად მიემხრო მოლაპარაკების გადადებას ფროსარის ჯგუფთან. მანამდე, სანამ არ მოხდება არჩევნები. ფორმა განაცხადა, რომ თუ ამჟამად შეიძლება საკითხის დასმა გაერთიანების შესახებ, ეს მხოლოდ კომპარტიასთან და არა ფროსარის გაკოტრებულ ორგანიზაციასთან.

მუშის პროტესტი.

სოციალისტური პარტიის ფინანსიური მდგომარეობის გამო გამართულ კამათში [illegible] პროტესტით პარტიის ფინანსიური [illegible] შესახებ გამოვიდა მუშა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალი წევრების მიღება პარტიაში ხდება მოუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, ოღონდ მათ თავის დროზე შეიტანონ საწევრო გადასახადი. ეს პარტიაში შემოსვლის საშუალებას აძლევს მრავალ რადიკალებს, რომლებიც ამჟამად მრავალი ორგანიზაციის ძირითად ელემენტს შეადგენენ.

ვანდერველდეს გამოსვლა.

ბელგიის მუშათა პარტიის სახელით გამოდის ვანდერველდე, რომელიც აცხადებს, რომ ის ყოველთვის ებრძოდა დამნგრევ კომუნიზმს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კომუნიზმმა ბევრი საზიანო მხარეები მოიტანა მუშათა მოძრაობაში. რა იქნებოდა რუსეთი, რომ კრემლზე არ ფრიალებდეს წითელი დროშა? „მე წინააღმდეგი ვარ კოლჩაკის. მე ვარ ლენინის და რუსეთის რევოლიუციის მხარეზე“. დასასრულ ვანდერველდე მოუწოდებდა საფრანგეთის სოციალისტებს მუშათა ერთიანი ფრონტის განხორციელებისაკენ.

პარტიის ტაქტიკა მომავალ არჩევნებზე.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის განხილვის დროს კომპრომორლი მიიმხრო პარტიის დამოუკიდებელ ხაზს და დასაშვებად სცნო აგრეთვე ნაწილობრივი თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან საჭიროების [illegible] მაგრამ მასთან საერთო პროგრამის გარეშე. [illegible] განაცხადა რომ ბურჟუაზიასთან მშრომლობის საკითხი დაკავშირებული უნდა იყოს არა არჩევნებისათვის სამზადის კამპანიასთან, არამედ მხოლოდ მომავალ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის საკითხთან, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია დაამტკიცოს სოციალიზმის ცხოველმყოფელობა. ყრილობის უმრავლესობამ არ მოიწონა გრიუმბახის გამოსვლა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო [illegible]

გერმანიაში

მიუხედავათ პოლიციის დევნისა.

ბერლინი. 31 იანვარი. ბრემენში შეტაკება მოხდა პოლიციისა და მუშების შორის, რომლებმაც მოაწყვეს ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი დემონსტრაცია.

მიუხედავათ აკრძალვისა, დრეზდენში შედგა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი დემონსტრაცია. პოლიციამ ალყა შემოარტყა დემონსტრანტებს და უნდოდა მათი გარეკვა, მაგრამ ახალგაზრდობამ გაარღვია პოლიციელთა ქსელი. ამის შემდეგ გამოწვეული იყო პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელმაც გარეკა დემონსტრაცია.

შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატ გრიმმის წერილები.

ციურიხი. 31 იანვ. შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატი გრიმმი აქვეყნებს მთელ რიგ გულწრფელ წერილებს ლენინის შესახებ. ეკამათება რა ბერლინის „ფორვერტს“-ს, გრიმმი სწერს „გერმანია რომ წასულიყო ლენინის, როზა ლუქსემბურგის და ლიბკნეხტის გზით, მაშინ გერმანიის მუშები ეხლა ასე დამშეული არ იქნებოდენ. რუსეთის რევოლიუცია ცოცხლობს ყველა მუშების გულში მაშინ, როცა გერმანიის“...

ბუხარაში

სამგლოვიარო დემონსტრაცია ბუხარაში.

ბუხარა. 31 იანვარი. ამხ. ლენინის დასაფლავების დღეს სამგლოვიარო დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 30 000 კაცი. დემონსტრაციის წინ ორ მოხუცებულს მიჰქონდათ ლენინის სურათი და პლაკატი წარწერით. „ლენინმა გვასწავლა ჩვენ, როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ემირის დესპოტიზმისაგან თუ გავყვებით მის მოძღვრებას, ჩვენ გავანთავისუფლებთ მთელ მსოფლიოს“.

ესტონეთი.

ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის სამძიმარი.

მოსკოვი. 2 თებერვალი. ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სამძიმარი გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს რეველში ამხ. სტარკს ლენინის გარდაცვალების გამო.

რუსეთში

სკოლა [illegible].

ველიკი უსტიუგი. 2 თებერვალი. უსტ-ალექსეევის ოლქში გლეხობამ გადასწყვიტა ლენინის საპატივცემლოთ აშენოს სკოლა.

მოგონება ლენინზე.

მოსკოვი. 2 თებერვალი. სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თანამშრომელთა სალამოზე, რომელიც გაიმართა ლენინის ხსოვნის საპატივცემლოდ, ამხ. ლეპეშინსკიმ, გამოვიდა რა მოგონებებით, აღნიშნა, რომ ლენინი შეუცვლელად ხსნიდა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებს საღამოს სწორედ 6 საათზე და დაგვიანებულებს უკმაყოფილებით უცქეროდა, თუმცაღა დაგვიანების შემთხვევაც იშვიათი იყო. სხდომის დროს ლენინი, თავმჯდომარეობის გაწევასთან ერთად, სწერდა ბარათებს სახალხო კომისართა საბჭოს წევრებს, პასუხს აძლევდა [illegible] მდივნებს, [illegible] გაზეთებს და აწონაწონებს უცხოეთის ჟურნალებიდან. ზოგჯერ გვეგონებოდათ, რომ ლენინი ფიზიკურად ვერ შესძლებს ყველა სიტყვების მოსმენას, მაგრამ კამათში ან სამოლოდ სიტყვაში ამხ. ლენინი ჩვეულებრივად აღნიშნავდა გამოსულ ამხანაგების ყველა სუსტ და ძლიერ მხარეებს.

ავსებენ დანაკლისს.

ოდესა. 31 იანვარი. ამ უკანასკნელ დროს მუშებს ემჩნევათ დიდი ლტოლვა რუსეთის კომპარტიის მიმართ. მხოლოდ ლენინის რაიონში შეტანილია 3000 ზე მეტი განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. სადგურის მახლობელ რაიონში შემოსულია 500 განცხადება, სვერდლოვის 200. წინასწარი გამოანგარიშებით, განცხადებათა რიცხვი უდრის 5,000. პარტიაში მსურველთა უმრავლესობა შეადგენენ ქარხნის მუშები დიდი საწარმოო სტაჟით.

[illegible]ში.

პარტიაში შესულთა შორის არის 65 წლის შრომის ვეტერანი.

სომხეთი

ლენინაკანი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ქ. ალექსანდროპოლს დაერქვა ლენინაკანი.

სხვადასხვა

ინგლისი

კონსერვატიულ პარტიაში.

ბერლინი. 1 თებერვალი. ინგლისის კონსერვატიული პარტია სრულიად გადახალისებული იქნება. ახლო ხანში მოწვეული იქნება პარტიის კრება მომავალი პოლიტიკის საკითხის გამოსარკვევად.

ინგლისის ელჩი სტამბოლში.

ბერლინი. 1 თებერვალი. ბრიტანეთის ელჩად სტამბოლში დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი რონალდ ლინდეი, პროფესიით დიპლომატი.

მეშახტეების და მეწარმეების შეთანხმება.

ლონდონი. 30 იანვარი. მეშახტეებს და მეწარმეებს შორის შეთანხმების ძალით არც ერთი გაფიცული დათხოვილი არ იქნება.

საფრანგეთი

სოციალისტური კონგრესი.

პარიზი. 1 თებერვალი. სოციალისტურმა კონგრესმა მარსელში მოიწონა მოხსენება ინტერნაციონალის შესახებ. კონგრესმა განიხილა საარჩევნო რეფორმის საკითხი.

ანრი ბარბიუსი გაამართლეს.

პარიზი. 30 იანვარი. პარიზის ტრიბუნალმა გაამართლა მწერალი ანრი ბარბიუსი, რომელსაც ბრალი ედებოდა პროპაგანდაში სამხედრო დისციპლინის დარღვევის სასარგებლოთ ომის უფ. მონაწილეთა კონგრესზე ბერლინში.

ბულგარეთი

„ყოფილი მეფის კერძო საქმეები“.

ვენა. 31 იანვ. ვენაში დაბრუნებული ბულგარეთის ყოფილი მეფე ფერდინანდი შუამდგომლობს ბულგარეთის მთავრობის წინაშე, რათა მას მისცენ ბულგარეთში დაბრუნების უფლება თავის კერძო საქმეების მოსაგვარებლად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დახმარება უპატრონო ბავშვებს.

მოსკოვი. 1 თებერვალი. სრულიად რუსეთის სათეატრო სინდიკატის გამგეობამ 100.0000 ოქროს მანეთი გადასცა ლენინის სახელობის ფონდისათვის, უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად.

უკრაინაში

გრიგალი შავ ზღვაზე.

ოდესა. 1 თებერვალი. გრიგალი შავ ზღვაზე ძლიერდება. სამხრეთის გრიგალი მიაახლოვდა ოსმალეთის ნაპირებს. ოდესის ნავთსადგური დაფარულია 18 დიუმ სისქის ყინულით, ეს პირველი შემთხვევაა 25 წლის განმავლობაში. გემები მოძრაობენ ყინულის მსხვრეველების საშუალებით.

ჩქარი მატარებლის შეჩერება.

ხარკოვი. 1 თებერვალი. ხარკოვის ჩქარი მატარებელი შეჩერებულია თოვლის ზვავების გამო 4 დღე.

თოვლის ზვავები.

ხარკოვი. 1 თებერვალი სამხრეთის რკინისგზაზე ჩამოწვა დიდი თოვლის ზვავები „ბელაია ცერკოვიან“ მატარებელი გაჩერებულია თოვლში 4 დღე ეკატერინეს და სამარეთ-დასავლეთის გზებზე ქარ-ბუქი შეწყდა.

რელიგიური სიცრუე.

ვლადიმირი. 1 თებერვალი. კოვროვში რელიგიურ დისპუტზე 60 წლის მღვდელმა ალიაკრისკიმ უარი განაცხადა მღვდლობაზე და განაცხადა რომ მას სურს კავშირი გასწყვიტოს რელიგიურ სიცრუესთან.

ომის წინადროის რაოდენობით.

ხარკოვი. 1 თებ. შაქრის ქარხნებში შაქრის დამზადება მიმდინარე წელს განზრახულია მოხდეს ომის წინა დროის რაოდენობით—20 მილ. ფუთი.

კიევის მენშევიკების ყრილობა.

კიევი. 1 თებერვალი. ყოფ. მენშევიკების საგუბერნიო ყრილობა ზიზღს უცხადებს მსოფლიო სოციალ-დემოკრატიას და 2 ინტერნაციონალს. მოუწოდებს რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის და ბუნდის ყოფ. წევრებს კავშირი გასწყვიტონ მენშევიზმთან და შეუერთდნენ რუსეთის კომპარტიას და კომინტერნს.

„დონის ნახშირის“ 99.000 მუშა.

მოსკოვი. 1 თებერვალი. „დონის ნახშირის“ მუშათა რიცხვი უდრის დაახლოვებით 99 000 კაცს, აქედან 15.000-ზე მეტი „ზაბოიშჩიკია“.

საკავშირო საბჭოთა ყრილობა

ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა.

— მოკლე შინაარსად —

მოსკოვი. 2 თებერვალი. საბოლოო სიტყვაში ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ მთავრობა სავსებით კმაყოფილია იმით, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელობას არ გამოუწვევია ყრილობაზე არავითარი კრიტიკა. საკავშირო მთავრობა დიდის ყურადღებით მოეპყრობა ამხ. სკრიპნიკის განცხადებას ჩვენი მონათესავე დაჩაგრული ერების შესახებ.

რუმინის დივანა.

ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ რუსებს დევნა სწარმოებს არა მარტო პოლონეთში, არამედ ბესარაბიაში, რომელიც მტაცებლური საშუალებით მოხწყვიტეს საბჭოთა კავშირს. ამხანაგ კამენევი თვლის, რომ ერთ-ერთ დაბრკოლებას ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის გზაზე [illegible] აპარატი, რომელიც უნდა შევუბუთ [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] შეიმოქმედების ახალ შრეს. საბჭოთა [illegible] უნდა გამოცხადებულ იქნას ახალი ძალების შეყვანით და მასზე სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს.

სხვადასხვა საკითხები.

საბჭოთა კავშირის დაცვის უნარიანობის შესახებ ამხ. კამენევმა მიუთითა, რომ მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, ჩვენ მაინც დიდ ყურადღებას ვაქცევთ წითელ ჯარს. **წითელი არმიის მატერიალური მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება.**

უმუშევრობის საკითხის შესახებ ამხ. კამენევმა განაცხადა, რომ პანიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. უმუშევრების დიდ ნაწილს შეადგენენ საბჭოთა მოხელეები, რაც საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების შედეგია. ჩვენ დახმარება უნდა გაუწიოთ იმ კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც დროებით უმუშევართა რიგებში მოხდენ.

შრომის ხელფასის საკითხის შესახებ ამხ. კამენევმა მიუთითა, რომ შრომის ხელფასი თანდათანობით დიდდება და ზოგიერთ ადგილებში ომამდე არსებულის 80 პროცენტს მიაღწია.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

ამხ. კამენევი მიესალმა ამხ. ტერენტიევის სიტყვას. ეს სიტყვა ამტკიცებს იმას, რომ რუსეთის მუშები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს საგარეო ვაჭრობას [illegible] ტერენტიევის [illegible] რუსეთის ექსპორტის შესახებ, ვინაიდან [illegible] მეტ [illegible] ნახშირს და [illegible] საზღვარგარეთ, მით უფრო [illegible] ჩვენი მრეწველობის [illegible] აღდგენა. ჩვენ ვერ გავიტანთ [illegible] დიდი ხნით ნახშირს და ნავთს, ვინაიდან, რომ დავაკმაყოფილოთ დონის მუშები და რომ უზრუნველვყოთ დონის ნახშირის მრეწველობის განვითარება, ჩვენ გვესაჭიროება ნაღდი ფული. საკითხი მდგომარეობს არა იმაში, რომ არ გავიტანოთ საზღვარგარეთ საქონელი, არამედ იმაში თუ როგორ მოვიხმაროთ საზღვარგარეთ გატანილი საქონლიდან მიღებული შემოსავალი. ეს შემოსავალი უმთავრესად უნდა მოხმარდეს ჩვენი მეურნეობის აღდგენას. ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ თუ ზოგჯერ ჩვენს ქვეყანაში შემოაქვთ ფუფუნების საგნები, ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენს აპარატში ჯერ კიდევ არიან არამზადები, ნაძირალები და გაიძვერები. მათ ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

გეგმიანი მეურნეობა

მეურნეობაში გეგმიანობის შეტანის შესახებ. ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ ამჟამად ჩვენ გვაქვს უკვე წინაპირობები ასეთი გეგმიანობისათვის ჩერვონეცის, კრედიტის საქმის მოწყობის და მტკიცე სახელმწიფო ბიუჯეტის სახით. გეგმიანობის მომავალი გაფართოება უკვე აღარ იქნება გამოგონებული რამ, არამედ რეალური სინამდვილე. გეგმიანობის პრინციპის გაძლიერება ჩვენს მეურნეობაში ჩვენ გვესაჭიროება, რომ შევასრულოთ ილიჩის ანდერძი და უკან დახევიდან შეტევაზე გადავიდეთ. შეტევა ჩვენ გვესაჭიროება ყველა ძველი ნაშთების წინააღმდეგ ჩვენს აპარატში: მექრთამეობის, ჩამორჩენილობის, სამეურნეო გეგმის უქონლობის წინააღმდეგ შეტევა ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ ნება მივეცით განვითარებულიყო გარკვეულ ფარგლებამდე.

საკავშირო მთავრობის პოლიტიკა არის ლენინის პოლიტიკის გაგრძელება. არავითარი ცვლილებები არ მოხდება. ლენინის პოლიტიკით ჩვენ გვიმარჯვნია დღემდე, ამ პოლიტიკით ჩვენ გავიმარჯვებთ მომავალშიც.

რეზოლიუცია მთავრობის მოხსენების გამო

მთავრობის მოქმედების გამო ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ კამენევის მოხსენება საბჭოთა მთავრობის მოქმედების შესახებ, განმეორებით 1923 წ. საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობა სავსებით იწონებს მთავრობის მოქმედებას“. დაამტკიცა ყრილობამ [illegible] მოხსენება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესახებ.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის მოხსენება

მოსკოვი 2 თებერვალი. 31 იანვრის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვლადიმიროვის მოხსენება:

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ვლადიმიროვმა აღნიშნა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ფულის ტრიალის და კრედიტის საკითხებსა და იმ საკითხებს შორის, რომელთაც საბიუჯეტო ხასიათი აქვთ. ყოველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებს აქვთ დიდი დამოუკიდებელი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობასთან უშუალოთ დაკავშირების გარეშე. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტი მე დროთ დაკავშირებულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ პირობებთან. ეროვნულ შემოსავლის აღრიცხვის საქმე ჩვენთვის დაკავშირებულია უდიდეს სიძნელესთან განსაკუთრებით ძნელი იყო აღრიცხვის წარმოება იმ დროს, როდესაც ჩვენ საქმე გვქონდა ისეთ ვალიუტასთან, რომელიც თანდათან ეცემოდა. 1921—1922 სამეურნეო წელში ჩვენი სახელმწიფო მეურნეობა დეფიციტს იძლეოდა: დეფიციტი იფარებოდა კაპიტალის ხარჯზე. ასე იყო მრეწველობის სფეროშიც და სახალხო მეურნეობაშიც 1922—23 წ. ჩვენ მივიღეთ რამოდენიმეთ წონასწორობა ჩვენს შემოსავალსა და ხარჯებს შორის. მაგრამ, ამით თავის დაიმედება არ შეიძლება, რადგან ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ არაჩვეულებრივ შევამცირეთ ჩვენი ხარჯები. მოთხოვნილებათა არაჩვეულებრივ შემცირების გზით ჩვენმა მეურნეობამ თავი დააღწია დეფიციტს.

მიმდინარე 1923—24 წ. მისი დასაწყისის მიხედვით, ჩვენ, როგორც სჩანს, შევდივართ ისეთ წრეში, როდესაც გვექნება არა მარტო წონასწორობა შემოსავლისა და ხარჯებს შორის, არამედ ნაწილობრივ ჩვენი ეროვნული კაპიტალის ცნობები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ. სახელმწიფოს და ფინანსიურ მეურნეობის ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის მწარმოებელ ძალთა და საქონლის ტრიალის განვითარებას. როგორია ის ფინანსიური საშუალებები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაშია და რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას? უპირველეს ყოვლისა გადასახადები. ყველაზე უფრო მსხვილი პირდაპირი გადასახადები ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში არის გადასახადი შემოსავლის კვალობაზე და სასარეწაო გადასახადი. გადასახადი შემოსავლის კვალობაზე გატარებული იყო ორი კამპანიის სახით, [illegible] ლებით; ამ კამპანიებმა [illegible] მიგვცეს [illegible] რომ ჩვენ ვერ [illegible] მთელ რიგ [illegible], რომელთაც, უეჭველათ, ჰქონდათ დიდი შემოსავალი, მაგრამ ისინი დაბეგვრას ყოველის მხრივ გაურბიან. საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სდგას ამოცანა გამონახოს და დაბეგროს ეს შემოსავალი. სასარეწაო გადასახადი შესდგება საპატენტო და გამოთანასწორებულ ხარჯებისაგან. გამოთანასწორებული გადასახადი— დაბეგვრის ერთი დაუმთავრებელი ტიპია და ის გროვდება საერთო ბრუნვისაგან, რაც საშუალებას არ გვაძლევს ჩვენ ავაშენოთ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა თვითეული წარმოების წმინდა შემოსავალთან შეფარდებით. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ გამოთანასწორებული გადასახადის სისტემა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო მრეწველობის მიმართ ჩვენ ამას დაჩქარებით გავატარებთ. გადავდივარ არაპირდაპირ გადასახადებზე.

მიმდინარე წელში ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავსდგით წინ; ჩვენ შევამცირეთ აქციზი ფართო მოხმარების საგნებზე საგლეხო მეურნეობაში. ჩვენ შევამცირეთ აქციზი მარილზე, ნავთზე და შაქარზე. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს რამოდენიმედ გავლენას მოახდენდა სახელმწიფო ბიუჯეტზე, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც შევამცირეთ აქციზი, რადგან ვფიქრობდით, რომ სახელმწიფოსთვის უმჯობესია ეხლა შემცირდეს ხაზინის შემოსავალი და გაადიდოს ამ საგნების მოხმარება, რადგან ეს გააუმჯობესებს მრეწველობის მდგომარეობას და ხელს შეუწყობს გლეხთა მოსახლეობას უკეთესათ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ ჩვენ შემდეგშიც, შევამცირებთ აქციზს მასიურ მოხმარების საგნებზე და გავადიდებთ აქციზს მოხმარების იმ საგნებზე, რომლითაც, უმთავრესათ, სარგებლობენ შეძლებული კლასები. ამას გარდა, ჩვენ უნდა შევამციროთ ადგილობრივ გადასახადთა რიცხვი. სახალხო მეურნეობის ნორმალურ გეგმიან განვითარების ინტერესებისათვის ჩვენთვის აუცილებელია გვქონდეს გადასახადთა რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობა.

გადავდივარ სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურალურ ჭვავის ერთეულში დაწესების სისტემამ მიმდინარე წელში მეტად დიდი უარყოფითი შედეგები გამოიღო როგორც სახელმწიფოსთვის, ისე საგლეხო მეურნეობისთვის. იმ პირობებში, როდესაც არსებობს სხვადასხვა ბაზარი, რომელიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი,—ვერავითარი საბჭოთა აპარატი ვერ მოახერხებს შეუფარდოს ფულის ფასები ჭვავის ერთეულების ფასებს. ეს პირველი უხერხულება. მეორე დიდი უხერხულება მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა სახელმწიფოში, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფულის სისტემა, განსაზღვრული ფულის ტრიალი, სახელმწიფო აწდევინებს გადასახადს არა ამ ფულის ნიშნებით, არამედ ჭვავის ერთეულებით. გამოდის ისე, თითქოს სახელმწიფო უარს ამბობს თავის ფულის ნიშნებზე.

ეს მდგომარეობა მოსპობილ უნდა იქნეს. გადასახადის დაწესება მტკიცე ფულის ერთეულებში გაცილებით უფრო მეტ სიმტკიცეს მისცემს თვითეულ გლეხის მეურნეობას. გამოცდილებამ აშკარათ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ კატეგორიულად უარი უნდა ვსთქვათ გადასახადის ნატურალურ ჭვავის ერთეულებში გამოანგარიშების სისტემაზე და გადავიდეთ ფულის ფორმაზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

მცირეწლოვანთა დანაშაულის შესახებ.

ბაქო. 2 თებერვალი. ბაქოს საბჭოს სამმართველო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მცირეწლოვან დამნაშავეთათვის ახალშენის მოწყობის შესახებ, რადგანაც ყველა დანარჩენი ზომა მცირეწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ უნაყოფო არის.

ბაქო. 1 თებერვალი. 28 იანვარს ამოღებულია ბაქოს ყველა სამრეწველოში 2,645,000 ფუთი ნავთი, აღებულია გადასაქაჩავად 1,352,000 ფუთი, მიღებულია გადაქაჩვიდან 1,336,000 ფუთი, გაწმენდილია 331,000 ფუთ. ბურღვაზე მუშაობდა 130 დაზგა, ჩაბურღულია 244 საჟენი.

ტრამვაი.

ბაქო. 1 თებერვალი. 31 იანვარს დაიწყო რეგულიარული საშინჯი მოძრაობა ბაქოს ტრამვაის, რაც გაგრძელდა დილიდან საღამომდე. თანდათან იზრდება ვაგონების რაოდენობა.

მუსლიმანების [illegible]

ბაქო. 1 თებერვალი. ბაქოს მუსლიმანური სასულიერო წოდების ინიციატივით ტაზა-პირის მეჩეთში გაიმართა მუსლიმანების სამგლოვიარო მიტინგი ლენინის გარდაცვალების გამო.

პარტიული ცხოვრება

ლენინიზმის შესწავლისათვის

პარტიულ კლუბთან იხსნება წრე ლენინიზმის შესასწავლად.

ლენინმა სისხლი და ხორცი შეასხა მარქსის მოძღვრებას მარქსიზმის მოძღვრებას აბსტრაქტულ სამეცნიერო ფორმები მან საქმიდ აქცია.

ექვს წელზე მეტი სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა და საქმით, [illegible] ნი თვალით [illegible] რომ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია შორეული იდეალი კი აღარ არის, არამედ რეალური სინამდვილეა.

ლენინმა მისცა მუშათა კლასს რწმენა ბრძოლაში, თავდადება, რევოლიუციის ცეცხლი, გამბედაობა, და უკიდურესი სიმამაცე, რომელიც შეერთებულია რეალურ ძალთა სისწორით აღრიცხვასა, პირობებსა, მასების სულიერ განწყობილებასთან და სხვა.

„მოხდებოდა“ თუ არა ოქტომბრის რევოლიუცია ლენინი რომ არ ყოფილიყო? ასეთნაირად კითხვის დაყენება მარქსისტს არ შეუძლია. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციის ხასიათი, ტემპი და მიმართულება განისაზღვრებოდა [illegible] ვიდოდა რევოლიუციის ცეცხლს და აჩენდა მსოფლიო ხანძარს.

მისი ნაწარმოების, ცხოვრების, მისი მოღვაწეობის შესწავლა არის ჩვენი რევოლიუციის, ჩვენი პარტიის, ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიის შესწავლა. ისე მჭიდროთაა დაკავშირებული ვლადიმერ ილიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენ საზოგადოებრიობასთან, რომ მოვლენების შესწავლა შეუძლებელია იმ მოძღვრების შესწავლის გარეშე, რომელსაც ლენინიზმი ეწოდება, ვინაიდან ლენინიზმი არის მარქსიზმის დამატება-გაღრმავება, მისი ტაქტიკა და სტრატეგია, მისი მიღწევანი.

ლენინიზმის შესწავლის წრეში უნდა შევიდნენ ამხანაგები, რომლებიც მუშაობდენ ვლადიმერ ილიჩთან ერთად, რომელთაც შეუძლიათ მისი პიროვნების დახასიათება, არა მხოლოდ როგორც მოაზროვნეს და მებრძოლისა ტაქტიკოსის, და სტრატეგიისა, არამედ მისი ინდივიდუალობის, მისი რკინის ნებისყოფის, მისი სულის არაჩვეულებრივი სიცხადის, ცხოვრების სიყვარულის და იმ მიმზიდველი სიმართლის, რომლითაც ის იპყრობდა ადამიანების გულს.

ლენინიზმის შესწავლა—ეს არის ჩვენი საზოგადოებრიობის ყველაზე საინტერესო და წარმტაც ფურცლების გადაშლა საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

ამხანაგებმა, რომლებიც ამ წრეში შევლენ, არ უნდა უცადონ დამზადებულ ლექციებს, მოხსენებებს, დასკვნებს. იმათ თვითონ უნდა გადაამუშაონ მასალები, გამოიტანონ დასკვნები, შეადგინონ რეფერატები, რომლებსაც განიხილავენ წრეში.

ამ შენიშვნაში [illegible] წრის პროგრამის—განსაზღვრა, ამას გააკეთებს თვით წრე, როცა იგი მოეწყობა.

ამ შენიშვნის მიზანია აღინიშნოს წრის ამოცანების სერიოზულობა და ის, რომ წრის შემადგენლობა არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ იგი უნდა იყოს შერჩეული და რომ ამ წრეში ჩაწერილ ამხანაგებმა საფუძვლიანად და სერიოზულად უნდა იმეცადინონ, ვინაიდან ლენინმა, როგორც მარქსმა, ათეული წლებით განსაზღვრა ჩვენი მომავალ მონაპოვართა გზა, გაითვალისწინა ჩვენი მოქმედების ტაქტიკა და მხოლოდ მისი მოძღვრების გულდასმით შესწავლით ჩვენ განვამტკიცებთ ოქტომბრის მონაპოვართ და მივაღწევთ საბოლოო მიზანს.

მ. ეხნეი.

ტფ. ალმასკომის კომკავშირის უჯრედში

1 თებერვალს, ერთიან პარტიულ დღეს შესდგა ალმასკომის კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის შეერთებული სხდომა. კომკავშირის უჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა გააკეთა მოხსენება უჯრედის მუშაობის შესახებ.

კომპარტიის და კომკავშირის დაახლოების საქმე უყურადღებოთ არ იქნა დატოვებული ჩვენი უფროსი ამხანაგების მიერ და ახალგაზრდათა კომუჯრედის დეფექტებს მიაქციეს სათანადო ყურადღება. კომუჯრედის წევრები, რომელთანაც კი გვქონია საქმე, სიხარულით ხვდებიან და აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს. მათივე დახმარებით უჯრედი კარგ პირობებში არის ჩაყენებული [illegible] სიომდე [illegible] კიდევ რაიმე შეიქნა საჭირო, ამხანაგები მზათ არიან გაგვიწიონ დახმარება. მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ უფროსი ამხანაგები დაგვპირდენ 1. სათანადოთ მომზადებული ამხანაგის გამოგზავნას უჯრედის სხდომაზე საყურადღებო თემებზე მოხსენების გასაკეთებლად, 2. გამოეწეროს უჯრედს, გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და „რაბოჩაია პრავდა“ და 3. მოწყობილ იქნეს უჯრედისთვის შესაფერი ბიბლიოთეკა. უჯრედის წევრები ამ დადგენილებებს სიხარულით შეეგებნენ და გამოსთქვამენ კიდეც იმედს, რომ ალმასკომის პრეზიდიუმი და [illegible] თებას მისცემენ ფართო გასაქანს.

ნ. ხალიბაშვილი

ეკონომიური ცხოვრება

[illegible]

(3 თებერვალი)

[illegible]	— 1.550,000 ათ.
გირვ. სტერლინგ. უცხოეთ.	1.442.000
ჩეკები	—1.400,000
დოლარი უცხოეთ.	—342 ნახ.
ჩეკები	- 322 —
ოსმალ. ქაღ. ლირა	—210.000
იტალიური ლირა	—14500
ფრანგული ფრანკი	—15500
საბჭ. ფულის ნიშნები	—16 ნახ.

[illegible] ფასები.

(3 თებერვალი)

პური 1 ხარ. 10,000, პური 2 ხ. 8000, ძროხის ხორცი—32000 ათ. ღორის ხორცი—28000 ათ. შაქარი რაფინადი—67 500 ათ. ფხვნილი შაქარი—43.500 [illegible] 13500 ათ. კარტოფილი—2500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(3 თებერვალი)

პური 1 ხ.—14000 ათ., პური 2 ხარ. —10000, ძროხის ხორცი 40000 ათ. ღორის ხორცი 40000 ათ., შაქარი რაფინ. 70000 ათ., შაქარი ფხვნილი 46,000 ათ, ბრინჯი ალდ.—16000 ათ, კარტოფილი 4000 ათ.

ბაზრის [illegible]

ბამბის [illegible], [illegible] ფრიზონი, თბილი ზაქათალის, „[illegible]მეტ“-ის პროდუქცია, (სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ნაჯახი, ბარები, მილები მავთული, ჭურჭელი და სხვ.), აბრეშუმი, ნედლეული ნაწილები მავთული (შესაკრავი) ცინკის უმარილი, სპილენძი (ფურცლოვანი), როსტოვის პაპიროსი, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ღვედები „საზარო-ტრესტ“-ის პროდუქცია, „კოსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, ხორბალი და ფქვილი, კვებრახის ექსტრაქტი, ცინკის, ჭურჭელი, შვეიცარული ყველი, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური [illegible] რიული სოდა, ასანთი რუს. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს სა[illegible] და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ) ცემენტი და ეტერნიტი, ქვამარილი ნახშ., სალომასი, „ბლიდრო-პროდუქტ“-ის ნაწარმოები, [illegible] მარცვლი [illegible].

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე კონფერენცია

რეზოლიუცია ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ

(მიღებული ერთხმად)

სამეურნეო პოლიტიკის მორიგი ამოცანების გადაწყვეტის დროს პარტია უნდა გამოდიოდეს თავის იმ ძირითად ამოცანებიდან არსებულ პერიოდში, რომელიც შეიცავს პროლეტარიატის და გლეხობის, სოფლის და ქალაქის, ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის და გლეხურ მეურნეობის კავშირის საქმეზე განხორციელებას.

მხოლოდ იმ საკითხების სისწორით გადაჭრას, რომლებიც წარმოიშობიან მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის დარგში, შეუძლია საბოლოოდ განამტკიცოს პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური საფუძველი და უზრუნველყოს ის ყოველგვარი შერყევისაგან.

პარტიის მეთორმეტე ყრილობამ თავის რეზოლიუციაში მრეწველობის სპეციალიზაციის შესახებ [illegible] მთავარ [illegible] თითება იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპი მოქცეულია იმ ჩარჩოებში, რომლებიც განისაზღვრებიან გლეხური მეურნეობის მდგომარეობით და რომ მთელი სამეურნეო პოლიტიკის სისწორით შეთანხმება გლეხური მეურნეობის განვითარების დონისთან შეადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას რომლის შემცდარი გადაჭრა გამოიწვევს დამღუპველ შედეგებს არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. მხოლოდ ეხლანდელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების ძირითადი ცვლილება ევროპის სამრეწველო ქვეყნებში შესძლებდა სერიოზულად შესუსტებინა სახელმწიფო მრეწველობის უშუალო დამოკიდებულება გლეხური მეურნეობის მდგომარეობაზე და შექმნა პირობები სოციალისტურ მეურნეობაზე უფრო ჩქარა გადასასვლელად.

მეთორმეტე ყრილობის რეზოლიუციაში ნათქვამია: „სასოფლო მეურნეობას, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ დაბალ ტეხნიკურ დონეზე იმყოფება, უპირველესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლების მთელი ეკონომიკისათვის... ჩვენმა პარტიამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს და მხედველობიდან არ უნდა გაუშვას თავისი თვითეული ნაბიჯის შეფასების დროს გლეხური მეურნეობის ფაქტიურად უპირველესი მნიშვნელობა... არა მარტო გვერდის ახვევა, არამედ არა საკმაო ყურადღების მიქცევაც ამ გარემოებისათვის შექმნიდა მრავალ საფრთხეს როგორც ეკონომიურ, ისე წმინდა პოლიტიკურ სფეროში და აუცილებლად ძირს გამოუთხრიდა ან შეასუსტებდა იმ კავშირს პროლეტარიატისა და გლეხობას შორის, გლეხობის იმ ნდობას პროლეტარიატისადმი, რომლებიც მიმდინარე გარდამავალ ისტორიულ პერიოდისათვის წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს და რომლის დაცვა და [illegible] შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის მთავარ პირობას და, მაშასადამე, პარტიის [illegible]“.

პარტიის ამ სისტემატიურმა მითითებამ ვერ ჰპოვა დღემდე სრული გამოხატულება ჩვენი სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში. საკმაოდ არ იყო შეთვისებული ის აზრი, რომ ქალაქსა და სოფელს შორის უფრო ფართო გაცვლა-გამოცვლის დამყარების საჭიროება იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მთავარი მიზეზი, და რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს გლეხობის სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტებით მომარაგების საქმე წარმოადგენს მთავარ ეკონომიურ ამოცანას.

სამეურნეო დაბრკოლებები (გასაღების კრიზისი), რომლებსაც ეხლა ჩვენ განვიცდით, უმეტესად აიხსნება მით, რომ საკმაო ანგარიში არ გაუწევიათ პარტიის მითითებისათვის გლეხური მეურნეობის მნიშვნელობისა და როლზე და განსაკუთრებულ თვისებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების ამოცანიდან იმ სახელმწიფოში, რომელშიაც სჭარბობს გლეხური მოსახლეობა. მომავალში პარტიის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ სისტემატიურად და ყურადღებით ტარდებოდეს ზემოაღნიშნული პოლიტიკა ქალაქის და სოფლის ურთიერთობის სფეროში და არ იქნეს დაშვებული ეკონომიურად და პოლიტიკურად საზიანო გადახრა გლეხური მეურნეობის მნიშვნელობის საკმაოდ შეუფასებლობის მხრივ ქვეყნის საერთო ეკონომიურ სტრუქტურაში.

ერთის მხრით გლეხური მეურნეობის და მეორე მხრით სახელმწიფო მრეწველობის აღდგენის ტემპს შორის შეუსაბამობის ნიადაგზე, საქონლის თავისუფალი გაცვლა გამოცვლის პირობებში წარმოიშვნენ უკანასკნელი დროის კრიზისის მოვლენები. ეს კრიზისი ხასიათდება განსხვავებით მრეწველობის საგნებზე უზომოდ მაღალ ფასებსა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე დაბალ ფასებს შორის. მრეწველობამ, რომელიც გაიზარდა ქალაქის ბაზრის [illegible] უფრო მაღალი ფასები, ვერ შესძლო მოსავლის რეალიზაციის დროს თავისი საქონლის გასაღება ნაკლები სყიდვითი უნარის მქონე მასიურ მომხმარებლებში—გლეხობაში. მეორე მხრით გლეხობამ ვერ ჰპოვა საკმაოდ ფართე შინაური და საგარეო ბაზარი პურის ხელსაყრელ ფასებში გასასაღებლად, რამაც გამოიწვია პურზე ფასების დაცემა.

გასაღების კრიზისის გამწვავებას ხელს უწყობდენ: სავაჭრო ურთიერთობათა სუსტი განვითარება, მაღალი ფასების პოლიტიკა სინდიკატებში, დანართი ხარჯების სიდიდე როგორც მრეწველობაში, ისე ვაჭრობის დარგში, ფულის მეურნეობის სუსტი განვითარება და აგრეთვე ორი ვალიუტის სისტემა, რომლის დროსაც გლეხობა ყველაზე მეტად ზარალობდა საბჭოთა ფულის ნიშნების ფასის დაცემისაგან.

გაძლიერებული მუშაობის საშუალებით განვლილმა წელმა მოგვცა უეჭველი წარმატება მრეწველობის და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში და სახელმწიფო მრეწველობაში დამზადებული საქონლის უფრო მეტი რაოდენობა, ვინემ ოდესმე, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში, მეორე მხრით გლეხობამ გაადიდა სახნავ-სათესი მიწების სივრცე, ერთგვარად აღამაღლა თავისი მეურნეობა, გაძლიერა სპეციალური კულტურების წარმოება და ნატურალური გადასახადის [illegible] მოსავლის [illegible] წელთან შედარებით, თავის განკარგულებაში ჰქონდა პურის მარაგის დიდი რაოდენობა.

ამრიგად ეხლანდელი კრიზისი სრულებით არ შეიძლება შევადაროთ უსაქონლობის და უპურობის იმ კრიზისს, რომელსაც ქვეყანა განიცდიდა 1919—20—21 წლებში. სახალხო მეურნეობის მთავარი ელემენტები მთლიანად (რაოდენობა დამზადებული ნახშირის, ნავთის, ლითონის, ბამბის, გლეხობის ხელში დარჩენილი პურის და სხვა), ეჭვს გარეშეა გაიზარდენ, კრიზისი არის სახალხო მეურნეობის ამ ცალკე დარგების შეუსაბამობის და პირველ რიგში ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის მიერ გლეხურ მასიურ ბაზრისაკენ გზის გაკაფვის უცოდინრობის შედეგი.

1. სასოფლო მეურნეობა

გლეხური ბაზრის მცირე ტევადობა და გადახდის დაბალი უნარიანობა, ისე, როგორც ქალაქის მრეწველობის პროდუქტების მაღალი თვითღირებულება, გამოხატავენ ხანგრძლივი საშინაო და საგარეო ომების შედეგებს. ფასების დაცემა სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე წარმოადგენს მსოფლიო მოვლენას, რომელმაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგალითად ამერიკაში, პურზე ხელოვნურად ფასების აწევის მიზნით გამოიწვია პურის დიდი მარაგის უბრალოდ განადგურება (დაწვა). საბჭოთა კავშირის ქალაქის და სამრეწველო მოსახლეობა არ წარმოადგენს საკმაო ბაზარს გლეხური მეურნეობისათვის. გლეხის პურზე ფასი აიწევს პირველ ყოვლისა უცხოეთის ბაზრის დაპყრობის შემდეგ. ჯერ კიდევ წარსულ წელში ეს გარემოება გაითვალისწინა პარტიამ, რომელსაც საჭიროდ დაინახა სასოფლო მეურნეობის პროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტის ყოველივე ძალლონით განვითარების აუცილებლობა. წარსული წლის განმავლობაში გატანილ იქნა 40 მილიონი ფუთი პური, მიმდინარე წელს კი, როგორც ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ამოცანა, დასახულია 250 მილიონი ფუთი პურის გატანა.

მაგრამ გლეხის პურის წარმატებითი ბრძოლა უცხოეთის ბაზარზე მოითხოვს სასოფლო მეურნეობის შეგუებას ამ ბაზრის პირობებთან. პარტიამ დღის წესრიგში დააყენა გლეხობისათვის დახმარების გაწევა მისი მეურნეობის ტეხნიკურად ამაღლების, უფრო ინტენსიური კულტურების შემოღების, გლეხურ მეურნეობის საბრუნავი საშუალებების გადიდების, ინვენტარის განახლების და სხვა საქმეში.

პირველ რიგში გაუმჯობესებული უნდა იქნეს სახელმწიფო პურის მომარაგების და სახელმწიფო ექსპორტის ორგანიზაცია. შემცირებული უნდა იქნეს დამატებითი ხარჯები ამ დარგში, მაქსიმალურად უნდა იქნას შემცირებული სხვადასხვა ჯურის შუამავლების და შემსყიდველების როლი და სარგებელი პურით ვაჭრობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია და უნდა დაეხმაროს გლეხობას მისი საბრუნავი საშუალებების გაუმჯობესებაში: ა) იაფი სასოფლო სამეურნეო კრედიტით (სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობა); ბ) გლეხობისათვის შეღავათიანი კრედიტით სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების მიწოდებით; გ) სასოფლო კოოპერაციისათვის დახმარებით და სხვა. ყველა თავის ღონისძიებებში გლეხობის მიმართ პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენების, კერძოთ კი მიწების კოლექტიურად დამმუშავებელი ამხანაგობებისათვის დახმარების საჭიროებით, უკანასკნელთა კულაკების ზეგავლენისაგან განთავისუფლების მიზნით. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩამორჩენილ ეროვნებათა ინტერესების უზრუნველყოფას ცალკე განაპირა ოლქებში და რესპუბლიკებში. გლეხური მეურნეობა წარმოადგენს მრეწველობის აღდგენის და, მაშასადამე, მუშათა კლასის ზრდის მთავარ ბაზას, რადგან სოფლის ბაზარი მთავარი მასიური ბაზარია მრეწველობის ნაწარმოებისათვის მეორე მხრით, გლეხური მეურნეობა არის ჩვენი მრეწველობისათვის ნედლი მასალის მთავარი მიმწოდებელი. ამიტომ რაც შეიძლება მეტი დახმარება გლეხური მეურნეობისათვის ნაკარნახევია საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო საერთო ინტერესებით, არამედ თვით მრეწველობის სასწრაფოდ განვითარების ინტერესებითაც.

2. სახელმწიფო მრეწველობა

მხოლოდ ნაციონალიზაციაქმნილი, მსხვილი მრეწველობის განვითარება შექმნის მტკიცე საფუძველს პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ხელმძღვანელობდა რა ამით, პარტიის მეთორმეტე ყრილობამ გარკვევით მიუთითა იმ ზომებზე, რომლებიც მიღებული და სისტემატიურად გატარებული უნდა ყოფილიყვნენ პარტიის მიერ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განსავითარებლად და გასამაგრებლად.

სახელმწიფო მრეწველობა განვლილი წლის პერიოდში საგრძნობლად განვითარდა, მან გაადიდა თავისი პროდუქცია და გააუმჯობესა საქონლის ხარისხი, ამავე დროს მრეწველობის განვითარება ხდებოდა თვითდინებით თვემდი უეცარი რყევისა და ნახტომების გარეშე.

მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპი მიმდინარე წელს რამოდენიმეთ სჭარბობდა სოფლის მეურნეობის და წვრილი და მსხვილი შინამრეწველობის განვითარების ტემპს. (რომ ავიღოთ მსხვილი მრეწველობის მთელი პროდუქცია, 21 წელთან შედარებით ის თითქმის ორჯერ გაიზარდა, სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამი უდრის ომამდე არსებულის 35 პროცენტს იმ დროს, როცა წარსულ წელს ის უდრიდა მხოლოდ 20—22 პროცენტს. კერძოდ კი, სათბობი მასალის მეურნეობის დარგში მიღწეული შედეგები უზრუნველჰყოფენ მრეწველობის სხვა დარგების აღდგენის შესაძლებლობასაც. ტრანსპორტი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მას განსაკუთრებულ დაბრკოლებების გარეშე შეუძლია დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის შედეგები, რომლებიც მიღწეულია ფაბრიკებში და ქარხნებში წარმოების ორგანიზაციის და მთლიანად მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში.

მაგრამ ეხლანდელმა კრიზისმა ამ სფეროშიც გამოააშკარავა მთელი რიგი უარყოფით მოვლენებისა, რომელთა თავიდან აცილება პარტიის მორიგ ამოცანას შეადგენს.

მრეწველობის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წელს მიღებული ზარალის ანაზღაურებლად, ზოგიერთმა სამეურნეო ორგანოებმა შემცდარად გამოიყენეს მეთორმეტე ყრილობის დირექტივა მომგებიანობისაკენ მისწრაფების შესახებ და არაჩვეულებრივად ასწიეს ფასები იმ დონემდე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ უფრო მეტი გადახდის უნარის მქონე ბაზრისათვის. საქონლის მაღალი ფასები წააწყდენ მასიურ გლეხური ბაზრის დაბალ გადახდის უნარიანობას. საქონელი დარჩა გაუყიდავი და არათუ არ აძლევდა სახელმწიფოს მოსალოდნელ მოგებას, არამედ მისი წარმოებები დააყენა გადაუხდელობის და წარმოების შემცირების საფრთხის წინაშე.

ბაზრის დასაპყრობად და ერთიანი ფასების დასამყარებლად შექმნილი სინდიკატები გადაიქცენ ამ მაღალი ფასების პოლიტიკის უშუალო გამტარებლებად. ეს პოლიტიკა წარმოადგენდა მრეწველობის ცალკე დარგების მონოპოლიური ორგანიზაციის არა სწორად გამოყენების აუცილებელ შედეგს, მოწესრიგებელ ორგანოების არა საკმაოდ განვითარების პირობებში.

სოციალისტური დაგროვება მთავარ და გადამჭრელ ფაქტორს წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის ბედისწერისათვის ახალი ეკონომიურ-პოლიტიკის დროს. მაგრამ შეცდომაა სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით, როცა პროდუქტების ფასებს, გარდა თვითღირებულებისა და აუცილებელი მინიმალური მოგებისა, ემატება ხარჯები ძირითადი კაპიტალის ისეთი სწრაფი აღდგენისა და გაფართოებისათვის, რომელიც არ ძალუძს დღევანდელ მომენტში ქვეყნის მცხოვრებთა მთავარ მასას. საჭიროა მომავალში ფასების პოლიტიკის უფრო მეტად შეთანხმება გლეხობის მთავარ ბაზართან და მრეწველობის განვითარების უფრო სასტიკად,—ვიდრე დღემდე,—შეთანხმება სოფლის ბაზრის ტევადობის გაფართოების საერთო მიმდინარეობასთან.

მიმდინარე წელს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამიდან 0,7 მოხმარდა ქალაქის მცხოვრებთ და მხოლოდ 0,3 სოფლის მოსახლეობას. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენმა მრეწველობამ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გაიკაფა გზა მასიურ სოფლის მომხმარებლისაკენ.

ის სიმაღლე, რომელსაც მიაღწიეს მრეწველობის საგნების ფასებმა მიმდინარე წელს, აიხსნება არა მარტო ობიექტიური მიზეზებით, არამედ თავის საგრძნობ ნაწილში ნაკლით მრეწველობის ორგანიზაციის დარგში და დამატებითი ხარჯების იმ ეკონომიის უქონლობით, რომელიც აუცილებელია რესპუბლიკის მეურნეობის აღსადგენათ. ფასების დაწევის პოლიტიკამ მრეწველობის ყურადღება უნდა მიმართოს თვითღირებულების შემცირებისაკენ მრეწველობის შემდეგი განვითარების და გაფართოების, დამატებითი ხარჯების მაქსიმალური შემცირების და აგრეთვე სავაჭრო აპარატების გაუმჯობესების და გაიაფების საშუალებით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა არსებული სინდიკატების გადასინჯვა და იმათგან მხოლოდ ისეთების დატოვება, რომელთა არსებობის სამეურნეო მიზანშეწონილობა დამტკიცებული იქნება. მხოლოდ მასიურ ბაზართან შეგუების, თვითღირებულების შემცირების და მასიური მოხმარების საგნების დამზადების პოლიტიკის მტკიცეთ გატარებით სახელმწიფო მრეწველობა შესძლებს კერძო კაპიტალთან კონკურენციას მასიური მომხმარებლების—მუშების და გლეხების მომარაგების საქმეში.

მიმართავს რა ყოველმხრივ ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის ფართე მასიური მომხმარებლის საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ, პარტია ამავე დროს განაგრძობს დგომას იმ თვალსაზრისზე, რომ საჭიროა ერთგვარათ ხელის შეწყობა წვრილი მრეწველობისათვის, რომელიც არ მოითხოვს არც დიდ ხარჯებს თავისი აღდგენისათვის, არც ნედლი მასალის, სათბობი მასალის და სურსათ-სანოვაგის სპეციალურ მარაგს და რომელსაც შეუძლია ერთგვარი დახმარება გაუწიოს სასოფლო მეურნეობას და აამაღლოს მისი საწარმოო ძალები და მით გააძლიეროს სახელმწიფოში საქონლის ბრუნვა.

შინამრეწველობის დარგში პარტიის აუცილებლად მიაჩნია დახმარება გაუწიოს სარეწაო კოოპერაციის განვითარებას, რათა შინამრეწველობის ნიადაგზე წინააღმდეგობა გაუწიოს კერძო კაპიტალის ზრდას და დაწესდეს აუცილებელი კავშირი შინამრეწველობასა და სახელმწიფო მრეწველობას შორის.

ბირჟის მოთხოვნილება.

მავთული (საკერავი), ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ნუში, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ. ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხ. ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკონდიტრო ფქვილი საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩ., რკინეულობა, პემზა.

ოფიციალური ტარიფები.

ფქვილი—2 მ. 28 კ. და 2 მ. 68 კაპ. ფუთი, ფრანკო—ბაქო-ვაგონი.

შვეიცარული ყველი—30 მ. ფუთი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

ფქვილი (პურის) 1 ხარ.—2 მ. 65 კ. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება. საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება გაცხოველებულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება. ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი ზევით იწევს.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

31 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 46 გარიგება, სულ 229528 ჩ. მან. თანხისა.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(3 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	1 550.000,	60 კ.	93 000.000
2 „	3 100.000,	70 „	108 500.000
3 „	4 650.000,	80 „	124 000.000
4 „	6 200.000,	90 „	139 500.000
5 „	7 750 000,	1 მ.	155 000 000
6 „	9 300.000,	2 „	310 000.000
7 „	10 850.000,	3 „	465 000.000
8 „	12.400.000,	4 „	620 000.000
9 „	13 950 000,	5 „	775 000.000
10 „	15 500.000,	6 „	930 000.000
20 „	31 000.000,	7 „	1085 000.000
30 „	46 500.000,	8 „	1.240 000.000
40 „	62 000.000,	9 „	1,395 000.000
50 „	77.500.000,	1 ჩერ.	1,550.000.000

შავი ქვის ექსპორტი.

საქართველოს ნავთსადგურებიდან 1923 წლის განმავლობაში გატანილია შავი-ქვა სხვადასხვა ქვეყნებში სულ 360,056 ტონა. ამ საერთო რიცხვიდან გაიტანეს: ინგლისმა—43,001 ტონა უბრალო მადანი, 24,277 ტ. გარეცხილი და პეროქსიდი 2,030 ტ. სულ 73,308 ტ; საფრანგეთმა—37 ათას 922 ტ. უბრალო შავი-ქვა 24 ათას 277 ტ. გარეცხილი და 2,030 ტ. პეროქსიდი, სულ 64.636 ტონა; გერმანიამ—4.502 ტ. უბრალო, 35 721 ტ. გარეცხილი და 2,430 ტონა პეროქსიდი, სულ 42,653 ტ; ჰოლანდიამ—19.783 ტ. უბრალო, 11,682 ტ. გარეცხილი და 5,671 ტ პეროქ სულ 37108 ტონ., ბელგიამ—5654 ტ. გარეცხილი, იტალიამ—8720 ტონ. გარეცხილი და ჩრდილო-ამერიკის შტატებმა—84930 ტ. უბრალო, 41588 ტ. გარეცხილი და 1476 ტ. პეროქსიდი, სულ 1.7994. შავი ქვის იქ პორტის საერთო რიცხვიდან (360056 ტ.) გატანილია: უბრალო მადნეული—190138 ტონა, გარეცხილი—156026 ტ. და პეროქსიდი—13892 ტონა.

რაც შეეხება ამა წლის იანვრის ექსპორტს, უკანასკნელი გამოიხატება შემდეგი ციფრებით: ამერიკისკენ გავიდნენ შავი ქვით დატვირთული გემები: „სავოია“, რომელმაც წაიღო 7380 ტონა გარეცხილი შავი-ქვა, „კლოპტორფ“—6845 ტონა უბრალო „როკსბურგ“-ს 6875 ტონ უბრალო, „სოვეტტო“—7373 ტ. გარეცხილი, „ლივინგ'ტია“—6400 ტ უბრალო; ამგვარად ამერიკაში გატანილია სულ 33873 ტონა. საფრანგეთში გავიდნენ გემები: „ალგა“—1277 ტონათი (გარეცხილი) და 2731 ტონ. უბრალო), „იონი“, რომელმაც განტანა 1027 ტ. გარეცხილი შავი-ქვა. საფრანგეთში გატანილია სულ 50355 ტონა ინგლისში გავიდა გემი „პავია“, რომელმაც წაიღო 1948 ტ პეროქსიდი და გერმანიაში გემი „სტელლა“—4343 ტ. უბრალო შავი-ქვით. ყველა ქვეყნებში იანვრის განმავლობაში გაზიდულია სულ 451995 ტონა., აქედან გარეცხილი 93932 ტ. უბრალო—19319 და პეროქსიდი—1948 ტონა.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1924 წ. 1 თებერვლისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 1 თებერვლისათვის განისაზღვრება—285 000 000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს—285.000.000 მან.

საქ. შრომის სახალხო კომისარი—ა. მიქაძე
საქმეთა მმართველი—ლ. ქურდოვანიძე

მეცნიერება და ტექნიკა

[illegible]

ამერიკის და ჰოლანდიის ზოგიერთ ქალაქებში აღმოაჩინეს საშუალება ტრამვაის ხარჯების თითქმის ერთი ორად შესამცირებლად. მიაღწიეს კი ამას ამნაირად: სრულიად გააუქმეს კონდუქტორების თანამდებობა. კონდუქტორ-ს მოვალეობა დაეკისრა ტრამვაის „მეძანქანეს“ (ვატმანს.)

ეს ახალი სისტემა შექმნა ამერიკელმა ინჟინერმა ბირნეიმ.

ბირნეის სისტემა ასეთია: როცა ვაგონი ჩერდება, მგზავრები შედიან მასში წინა კარებიდან, სადაც ვატმანი სდგას. აქ (იმ ადგილზე სადაც სადგომია) სდგას ყუთი, რომელშიც მგზავრები [illegible] ერთი ზომის [illegible] რომ აღნიშნავს თუ რამდენი ასეთი ზომის ფული ჩაუშვეს მასში. ამრიგად ვატმანმა იცის თუ რამდენი კაცი ზის ვაგონში, მგზავრებს არ ეძლევათ ბილეთები (ესეც ხარჯების ეკონომიას იძლევა).

როცა მგზავრები უკვე დასხდენ ვაგონში, ვატმანი ხელს აჭერს შესაფერ კნოპკას ვაგონის საფეხურები ავტომატიურად იკეცება. ამავე დროს იკეტება (ასევე მექანიკურად) ვაგონის წინა კარებიც. ამის შემდეგ ბირნეის ვაგონი მოდის მოძრაობაში ისეთივე წესით, როგორც ჩვეულებრივი ვაგონები გადმოდიან მგზავრები უკანა კარებიდან და თვით მგზავრების მოვალეობას შეადგენს სასტიკად დაიცვან ეს წესები.

ამერიკაში ამ სისტემის შემოღება ადვილი აღმოჩნდა. იქ თითქმის ადგილი არა აქვს უბილეთოთ მგზავრობას ტრამვაით და ვატმანისათვის საკმაოა მხოლოდ ყუთში ჩაშვებული ფულის ხმაურობის გაგონება მგზავრების რიცხვის გამოსარკვევად.

ევროპაში კი კონტროლის ასეთი სისტემა არ აღმოჩნდა საკმაო. მაგალითად ბირნეის სისტემის ვაგონები შემოიღეს ჰოლანდიაში ქ. არნემში. ამ ქალაქში გარდა ყუთისა, ვაგონში მოწყობილია ე. წ. ტურნიკეტი, ე. ი. ისეთი მოწყობილობა, რომელიც ითვლის თუ რამდენი კაცი შევიდა ფაქტიურად ვაგონში.

ბირნეის ვაგონების სისტემას გარდა იმ ეკონომიისა, რომელსაც ისინი იძლევიან ის უპირატესობა აქვთ, რომ ამ ვაგონების შემოღებით აცილებულია მრავალი უბედური შემთხვევები, რადგან ვაგონის მოძრაობის დროს საფეხურები აწეულია და შეხტომა შეუძლებელია.

წყალქვეშა კინო.

ამ რამოდენიმე წლის წინედ ზღვების და ოკეანების ცნობილმა მკვლევარმა შარლ ვილიამსონმა გამოიგონა მილი, რომლის ჩაშვება შეიძლებოდა ზღვის უფსკრულში და იქ ცხოველთა და ბუჩქების გადაღება. მისმა შვილებმა ერნესტმა და ჟორჟმა გააგრძელეს დაწყებული საქმე და გამოიგონეს გემი, რომელიც ძლიერ წააგავს მინების მსროლელ გემს. მის ფსკერი, შუაზე ზღვის უფსკრულისაკენ გაყვანილია ბრეზენტის მილი, რომელსაც იოგვლივ ჩაჭობა ფოლადის რგოლი (ეს ბრეზენტის მილი წყალს არ უშვებს) სიმაგრისათვის ბრეზენტის გარეგანი მხარე დაცულია კაუჩუკის ფირფიტებით. მილის ბოლოში მოთავსებულია პატარა ოთახი, რომელშიაც ადამიანი თავისუფლად თავსდება. ამ ოთახის დიდი ჭერჭემალა შემოსილია ძლიერ მაგარი და სქელი შუშით. ოთახიდან თავისუფლად შეიძლება ზღვის უფსკრულის ცხოვრების გადაღება. ვინაიდგან 15 საჟენის ქვევით ზღვაში შეუძლებელია სინათლის დანახვა—თვით ოთახში ზევიდგან (გემიდან) გაყვანილია ელექტრონი, რომელიც ანთებს ოცი ათასი სანთლის სიძლიერით.

ასეთ ოთახში ყოფნა სრულიად არ უჭირს ადამიანს, რადგან იქ ჰაერიც ბევრია და გარდა ამისა კედლებიც ძლიერ მაგარია ასე რომ იქ ყოფნის დრო არ არის განსაზღვრული,

მსახიობთა დელეგაცია „კომუნისტი“-ს რედაქციაში

გუშინ, 11 საათზე, რედაქციაში შემოვიდნენ აკადემიური დრამის მთავარი რეჟისორი კ. მარჯანიშვილის მეთაურობით ამავე დრამის რეჟისორი ალ. ახმეტელი და სამი მსახიობი: პლატონ ყორიშელი, აკაკი ვასაძე და ვაჩესლავ ჯიქია. მათ ინახულეს გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქტორი ნ. კიკნაძე მოსალაპარაკებლად იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა რედაქციაში იანვრის 31-ს.

მოქ. მარჯანიშვილმა მწუხარება გამოთქვა მომხდარ ინციდენტის გამო. მსახიობებმა ბოდიში მოიხადეს რედაქციის წინაშე და აღნიშნეს, რომ ისინი სასტიკათ დასჯილი არიან ერთი იმით, რომ მათი საქციელი გამოაშკარავებული იქნა გაზეთში, შემდეგ—ისინი დაპატიმრებული იქნენ და გარდა იმისა—გამორიცხულნი კორპორაცია „დურუჯი“-დან.

აზრთა მოკლე გაცვლა გამოცვლის შემდეგ რედაქტორმა ამოწურულად ჩასთვალა, აღნიშნულ პირების მიერ ბოდიშის მოხდის გამო, ინციდენტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარე, რამდენადაც ეს რედაქციას შეეხებოდა. ამასთან ერთად, სათანადო შეკითხვაზე საპასუხოდ, მაშინვე განაცხადა, რომ კორპორაციისაგან არის ამის შემდეგ დამოკიდებული, იქონიებს თუ არა ის მსჯელობას მისი ოთხი ყოფილი წევრის ხელახლად მიღების შესახებ ამ კორპორაციაში.

ქრონიკა

— **წითელი ჯვრის სამდღიური.** იანვრის 26, 27 და 28 განზრახული სამდღიური, საერთო მგლოვიარობის გამო, გაიმართება თებერვლის 9, 10 და 11.

— **ახლობელი მიწის ძვრა.** 1 და 2 თებერვალს საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია ექვსი ახლობელი მიწის ძვრა. პირველი პირველ თებერვალს დღის 2 საათზე 14 წ., მეორე—ამავე დღეს, 2 ს. 54 წ., მესამე—ამავე დღეს 7 ს, 32 წ., მეოთხე—ამავე დღეს 8 ს. 4 წ., მეხუთე დილის 4 ს. 57 წ. 2 თებერვალს, მეექვსე—დილის 5 ს. 38 წ. კერა დაშორებულია 140 კილომეტრით, მიმართულება გაურკვეველია.

— **[illegible] წინაალმდეგ.** საქ. სახ. კომის[illegible] დაადგინა: დაავალოს მიწათმოქ. კომისარიატს, რათა მიიღოს ენერგიული ზომები ღვინის ფალსიფიკაციის (ყალბი ღვინოების) წინაალმდეგ.

— **აეროდრომი პროვინციებისთვის** ა/კ. საავიაციო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაში, რათა ადგილობრივ აღმასკომებს გორში, ხაშურში, სურამში, ზესტაფონში, ქუთაისში, ოზურგეთში და სხვაგან დაეკისროს აეროდრომების მოწყობა.

— **საექიმო საკონტროლო კომისია.** ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო ქვე-განყოფილებასთან რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეთათვის დაარსებულია სპეციალური საექიმო-საკონტროლო კომისია.

— **სატრანსპორტო ფაკულტეტი.** ა/კ. რკინის გზელთა სამმართველომ გადასწყვიტა რკინისგზის ტეხნიკუმთან მოაწყოს სატრანსპორტო ფაკულტეტები.

— **შრომის გმირები.** ა./კ. რკინისგზის სამმართველომ დაადგინა შეიტანოს წითელ დაფაზე ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც განსაკუ[illegible] შრომის უნარი და ენერგია გამოიჩინეს [illegible] კეთების დროს.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** ქარ. დივიზიის ნაწილებში, 15 თებერვლიდან დაიწყება გამოცდები წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციაქმნილ წითელარმიელების.

— **პენსიები რკინისგზის მუშებისათვის.** ა/კ. რკინისგზის სამმართველომ პენსიონერ რკინისგზელ მუშა მოსამსახურეთათვის გამოიმუშავა პენსიების ახალი პირობები. პენსიების გაცემა მოხდება ჩერვონცების ანგარიშით.

— **სანიმუშო გაკვეთილები ჯარში.** 6 თებერვალს, ქართული ჯარის 1-ლ ლეგიონში დანიშნულია სანიმუშო გაკვეთილი კომპლექსიური მეთოდით. ყველა სამხედრო მასწავლებლის დასწრება სავალდებულოა.

— **აბრეშუმის თესლის მიღება.** ა/კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 2,158 კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომელიც განაწილებული იქნება კოოპერატივების შორის.

— **ხორცის გადმოზიდვა სასაკლაოდან ტრამვაით.** 15 თებერვლიდან დაიწყება ტრამვაის ვაგონებით სასაკლაოდან ხორცის გადმოზიდვა. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ტრამვაის ხაზის დასამთავრებლად სასაკლაოდან—ჯარისკაცთა ბაზრამდე.

— **პროლეტ სტუდენტების სასარგებლოდ.** ტფილისის გარნიზონის რაზმმა პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ გადასდო 110 მ. ჩერ.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილება.** ის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, რომელიც იმყოფებიან მიწათ-მოქ. კომისარიატის განკარგულებაში, განაწილებული იქნება პირველ რიგში სახელმწიფო მამულების და გლეხების შორის.

— **თბილი ამინდები გურიაში.** უკანასკნელი ცნობებით გურიაში მეტის მეტ თბილი ამინდების გამო ბევრი ხეხილი აყვავებულია: ნუში, ტყემალი, ატამი და სხვ.

— **შრომის ბირჟა.** 1 თებერვალს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—12 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 88, სამუშაოზე გაიგზავნა—40. მოთხოვნილება იყო—49.

შემთხვევები.

— **დაჭრა.** 1 თებერვალს ღამის 3 ნახევარ საათზე ირაკლი ჯგალაძემ რევოლვერით ორჯერ სასიკვდილოთ დაიჭრა თავი. მიზეზი თვითმკვლელობის განზრახვისა გამოურკვეველია.

— **ქურდი ქალი.** 31 იანვარს, დღის 12 საათზე გაქურდული იქნა მოქ. მარიამ იაკობის ასულის იაროვის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 16) ქურდი შეფირა გერსენის ასული ვინხლიომი შეპყრობილი იქნა ნაპარავი ნივთებით.

— **დაჭრა.** 31 იანვარს, საღამოს 6 საათზე ნაზარევის შესახ. № 6 თვითმკვლელობის მიზნით რომანიულ ნიადაგზე დანით თავი დაიჭრა მოქ. ალექსი გიორგის ძე ჩომახიძემ, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— **ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გაქურდვა.** 31 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე გაქურდეს ორჯონიკიძის სახელობის კლუბი, საიდანაც წაღებულია კლუბის სცენის ფარდა 64 არშინიანი, ღირებული 65 მან. ჩერ. მიღებული ზომებით შეიპყრეს იმავე კლუბის დარაჯი ლალიაშვილი, რომელსაც ფარდასთან ერთად აღმოაჩნდა კლუბიდან მოპარული სხვადასხვა ნივთები.

— **ბანდიტის მოკვლა.** სოფ. მარტყოფის მახლობლად (კახეთის რაიონი) მოკლული იქნა ბანდიტი ოროჯანდოვი (ბაქაევის ჯგუფელი.)

— **ტერენტი გრანელის წიგნი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ტერენტი გრანელის ლექსების მეორე წიგნი „გაფრენილი დღეები“. წიგნი შეიცავს ას გვერდს.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** 5 თებერვალს, სამშაბათს საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში გამართული იქნება ამხ. ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სამშაბათი. ლენინის შესახებ სიტყვით გამოვა ამხ. ფილიპე მახარაძე—შესვლა ყველასათვის უფასოა.

— **კინო „არფასტრო“.** ორშაბათს, 4 თებერვალს კინო „არფასტრო“-ში მიდის სურათი „უბედური ქალის დღიური“ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 ე კურსის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

— **ჟურნალი „წინ“.** პროლეტკულტის სტუდიელებმა გამოუშვეს ხელნაწერი ორგანო „წინ“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მუშა-მგოსნები გ. ხეჩუაშვილი, გ. შინატიხელი, ნავთლუღელი, ნ. ინასარიძე, სანდრო ეული და სხვები.

— **პროლეტკულტის წევრთა ყრილობა.** უახლოეს ხანში ტფილისში მოწვეული იქნება საქართველოს პროლეტკულტის წევრთა და მსმენელთა საერთო ყრილობა.

— **[illegible] მოწაფეთა სასარგებლოდ.** დღეს, საკონსერვატორიის დიდ დარბაზში, გაიმართება სიმფონიური კონცერტი იპ ივანოვის ლოტბარობით. მთელი შემოსავალი გადაიდება კონსერვატორიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

— **ახალი საბავშვო პიესა.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა დ. ნახუცრიშვილის საბავშვო პიესა: „ნაცარქექია-კიკოლა“.

— **შოლა ლომთათიძის ნაწერები.** სახელმწიფო გამომ. მიიღო გამოსაცემათ შოლა ლომთათიძის ნაწერები, რომლებიც გამოვა სამ ტომათ.

— **ალ. ყაზბეგის ნაწერების მეორე ტომი.** სახელგამი შეუდგა ალ. ყაზბეგის ნაწერების მეორე ტომის ბეჭდვას. წიგნი გამოვა თებერვლის დამლევისათვის.

დღეს თეატრში.

— ოპერა—„დაისი“.

სახალხო სახლი—ქარ. წარმოდგენა

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

პირველი სიმფონიური კრება.

ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მოწვევა მეტათ დიდი ფაქტია საქართველოს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. იპოლიტოვ ივანოვი ცნობილია რუსეთში და ევროპაში, როგორც განათლებული მუსიკოსი და გამოჩენილი კომპოზიტორი.

ტფილისისათვის ეს არტისტი ნაცნობია, რადგან ოცდაათი წლის წინათ ის იყო დირექტორი ტფილისის მუსიკალური სასწავლებლისა, რომელიც შემდეგ კონსერვატორიათ გადაკეთდა. ამ საღამოს კონცერტს დიდძალი ხალხი მოაწყდა. ინტერესს, რომელიც გამოიწვია კონცერტმა, ხელი შეუწყო, რასაკვირველია, პროგრამამ, პიანისტ იგუმნოვის მონაწილეობამ კონცერტში და აგრეთვე გაძლიერებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელშიაც 60 კაცი შედიოდა.

კონცერტი დაიწყო ბეტხოვენის პირველი სიმფონიის შესრულებით. ის ვერ იქნა შესრულებული ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ბეტხოვენს განსაკუთრებული სტილი აქვს [illegible] ხაზგასმული უნდა იყოს. [illegible] ნაწილს ეჩნეოდა დაუმთავრებლობა. [illegible] მეორე ნაწილი კი საუცხოვოთ იყო შესრულებული.

ფორტეპიანოს მეორე [illegible] რახმანინოვისა ერთი დასრულებულ ნაწარმოებთაგანია უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში.

იგუმნოვმა კონცერტი რამოდენიმე [illegible] დაიწყო, პიანისტი მეტათ ჩქარი ტემპით [illegible] პირველ ნაწილს, რაც უარყოფითად მოქმედობს საუცხოვო მელოდიურ სურათზე.

პოეტური მეორე ნაწილი შესრულებული იყო იგუმნოვის მიერ საუცხოვოთ, ღრმა ინტუიციით და მუსიკალობით.

იგუმნოვის მიერ შესრულებული იყო კიდევ ლისტის რამოდენიმე ნაწარმოები—სოლო; შესრულება საუცხოვო იყო.

კონცერტის მეორე განყოფილება მიძღვნილი იყო იპოლიტოვ ივანოვის შემოქმედებისადმი. მისი პოემა „მწირი“ ლერმონტოვის სიუჟეტზე სავსეა საუცხოვო მუსიკალური შინაარსით. ორი მხატვარის შემოქმედება გაერთიანდა ამ ნაწარმოებში ერთ მშვენიერ ერთეულში. პოემას ახასიათებს საუცხოვო ჰარმონიზაცია.

„ესკიზები“ მხატვრულათ იყო შესრულებული ავტორის ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებით კარგია ესკიზი „აულში“ (გორის და ინგლისურ საყვირის გამოხმაურება ერთი მხრივ და ალტის-მეორეს მხრივ).

პ. ბებუთოვი.

—

— **ავლაბრის მუშათა კლუბში.** 1 თებერვალს ავლაბრის მუშათა კლუბში, მეექვსე უბნის რკინისგზის ქარ[illegible] მიერ იქნა წარმოდგენილი ქართულ ენაზე [illegible] ჯვრით. წარმოდგენა მწყობრად ჩატარდა.

პროვინციაში

მუხიანის თემი (ქუთ მაზრა)

(ქუთ. განათლების განყოფილების საყურადღებოდ)

იმ დროს, როცა სხვაგან ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა სამკითხველო ბიბლიოთეკა, შკოლა, კოოპერატივი, ხშირად და არაფერს ზოგავენ მათ წარმატებისათვის, აქ არსებული იღუპება და ყურადღებას კი არავინ აქცევს. 1909 წ დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო 1921 წლამდი მოქმედებდა; მას 1915 წლიდან [illegible] შენობა და ადგილი აქვს. 1921 წ. აპრილში რევკომის თავმჯდომარემ აკაკი ფუტურიძემ სამკითხველოს შენობა ხალხს გადაატანია და დაადგმევინა კერძო მესაკუთრის ადგილზე. რამდენიმე თვის შემდეგ სამკითხველომ მოქმედება შეწყვიტა; სამკითხველოს ადგილი მეპატრონემ სხვას მიჰყიდა, შენობა კი ახალ ადგილზე ლპება, მისი ქონება გატაცებულია და კაცი პატრონი არ ჩანს. დღეს ასეთი შენობის აგებას მილიარდები უნდა და თუ ადგილობრივი ძალები არ აქცევენ ამას ყურადღებას, ქუთაისის განათლების განყოფილება ხომ ვალდებულია მიხედოს ასეთ კულტურულ სახალხო საქმეს, რომელიც მის განკარგულებაში მყოფს.

„პლატონიძე“.

ხუფსა

ლენინის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რაიონს. პარასკევს, 25 იანვარს, დილიდანვე დაიგზავნა რაიონის ყველა მახლობელ და შორეულ პუნქტებში პარტიის პასუხისმგებელი ამხანაგები, კომუჯრედებში მოხსენებების გასაკეთებლათ. მეხივით თავზარდაცემულნი უდიდესი გლოვით უსმენდნენ ამხანაგები საყვარელ ბელადის და შეუდარებელი მასწავლებლის სამუდამოთ დაკარგვას. ყველა კომიჩეიკებში გამოიტანეს ისეთ რეზოლიუციები სადაც პარტიის წევრები ფიცს სდებენ, რომ უფრო მტკიცე, შემჭიდროებული რიგებით წავალთ წ 6 იმ ნაცად ძლევამოსილ ბრძოლის გზით, რომლითაც მიგვყავდით დაუვიწყარ ბელადს.

27 იანვარს, კვირას შედგა სამგლოვიარო მიტინგი. დილიდანვე წვიმები დაიწყო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომათ დაესწრო მუშათა კლასის შეუდარებელ წინამძღოლის დასაფლავებას. 3 ს 25 წუთზე სამგლოვიარო [illegible] მიტინგს ხსნის რაიონის აღმასრულებელი [illegible] თავმჯდომარე ამხ. [illegible] მოკლედ ახასიათებს მსოფლიო რევოლიუციის მესაჭის უდროოთ დაკარგვის მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით.

შემდეგ გამოდის მაზრიდან ჩამოსული საგანგებოთ ამ მიტინგზე ამხ. ილარიონ კალანდაძე. ამხანაგი მოკლედ ახასიათებს დაუვიწყარი ბელადის პიროვნებას და მის მნიშვნელობას მსოფლიო რევოლიუციისათვის.

შემდეგ გამოდის ახალგაზრდათა კომკავშირის ინსტრუქტორი ამხ. ქერქაძე. რომელიც ახალგაზრდების სახელით ფიცს სდებს, რომ მთელი მშრომელი ახალგაზრდობა წავა იმ ბრწყინვალე გზით, რომელსაც ამხ. ლენინი გვასწავლიდა. უკანასკნელ სიტყვას ამბობს ა. თოდრია. მას სიტყვა დამთავრებული არა აქვს, რომ აწყვეტინებს საერთო სიგნალი სუფსის ნავთსადენის საყვირისა. საგანგებო რაზმის წევრები აძლევენ სალიუტს ვინტოვკებიდან. ეს ნიშანია, რომ შეუდარებელი [illegible] ნეშთი უკვე [illegible].

მშვიდობით [illegible] არ დაგივიწყებთ შენს ანდერძს.

ანა.

აუცილებელ ელემენტს ჩვენი მრეწველობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში შეადგენს მრეწველობის კონცენტრაცია. ძველი სამეურნეო რეჟიმისაგან ჩვენ მემკვიდრეობათ მივიღეთ მრავალი წარმოებები, რომლებიც წარმოიშვენ რაიმე შეთანხმების გარეშე სამეურნეო გეგმასთან და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების იმ წყობილებასთან, რომელიც ჩვენ ახლა გვაქვს. ეს წარმოებები მძიმე ტვირთად აწვება სახალხო სამეურნეო ბიუჯეტს.

ხარჯები მათ შესანახად, მათი არა სრული დატვირთვის ან სრული კონსერვაციის დროს, აუცილებლად შედიან მასში და ადიდებენ მას. მაგრამ პარტია ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებს, რომ აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სფეროში, კომერციულ და საბიუჯეტო მოსაზრებებს კონტროლს უნდა უწევდეს პოლიტიკური მოსაზრებები, ესე იგი ამ შემთხვევაში მუშათა კლასის ძლიერების დაცვის მოსაზრება. იქ, სადაც ქარხნების დახურვას მოყვებოდა პროლეტარიატის პოლიტიკური ძალის შესუსტება, მისი მთავარი კადრებისათვის ძირის გამოთხრა და მისი დაქსაქსვა,—იქ სასტიკი კონცენტრაციის გატარება დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა.

წინა პერიოდში პარტიამ მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო ნახშირის (დონის ბასეინში) და ნავთის მრეწველობას (ბაქო) გაფართოებას და გაძლიერებას, ვინაიდან მრეწველობის სათბობი მასალით უზრუნველყოფის გარეშე ლაპარაკიც არ შეიძლება და მრეწველობის სხვა დარგების გამაგრებაზე. სათბობი მასალის მეურნეობაში ამჟამად მიღწეული წარმატებანი შესაძლებლად და აუცილებლად ხდიან პარტიის ყურადღების მიქცევას ლითონის მრეწველობაზე. ლითონის მრეწველობა ეხლანდელ პირობებში პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული და მან უნდა მიიღოს სახელმწიფოსაგან უფრო მეტი, ვიდრე წარსულ წელში, ყოველმხრივი და კერძოთ ფინანსიური დახმარება.

3. სამუშაო ხელფასი და პროფკავშირები

მეურნეობის მძიმე მდგომარეობამ, რომელიც შესამჩნევი გახდა შემოდგომაზე, თან სდევდა მერყეობა ხელფასის დარგში, მან გამოიწვია აგრეთვე მთელი რიგი ნაკლულევანებათა როგორც ხელფასის გასტუმრების ვადის, ისე ამ გასტუმრების ფორმის მხრივ. პოლიტბიურომ აგვისტოს დასაწყისში ც(ენტრალური) კომიტეტის პლენუმმა სექტემბერში მიიღეს გადაწყვეტილებები რომლებიც, მიმართული იყო ხელფასის დაცემის შეჩერებისა და პროლეტარიატის ზოგიერთ ჯგუფებისათვის (მაგ. რკინისგზელებისათვის) ხელფასის გადიდებისაკენ.

პარტია ფიქრობს, რომ მრეწველობის და სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობა ნებას გვაძლევს შევსწყვიტოთ ხელფასის მიცემა იმ ფორმით, რომელიც უდრიდა მის ფაქტიურად შემცირებას (სუროგატები, დიდი კუპიურები) და აგრეთვე მივიღოთ მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელიც მიმართული იქნება დაგვიანებით ხელფასის გასტუმრების წინააღმდეგ. პარტია მოითხოვს ყველა სამეურნეო ორგანიზაციებისაგან ებრძოლონ ასეთ ნაკლულევანებებს და კატეგორიულად აღნიშნავს, რომ სამუშაო ხელფასის თავის დროზე გასტუმრება არის სამეურნეო ორგანოების უმთავრესი მოვალეობა.

მრეწველობის და ტრანსპორტის აღორძინება, რომელიც დამყარებულია მუშათა კლასის ძალთა გმირულ დაჭიმვაზე, უნდა გამოიხატოს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. პროფკავშირების ორგანოების მუდმივი ყურადღება უნდა მიიქცეს იმას, რათა ეს ორი ხაზი—სამეურნეო აღორძინება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება—საკმაოდ შეფარდებული იყოს ერთმანეთთან.

ჩვენი მრეწველობის აღორძინების პროცესს აუცილებლად თან სდევს პროლეტარიატის რიცხვობრივი ზრდა, მისი კონსოლიდაცია, მისი მატერიალური და კულტურული დონის აწევა. ამ ნიადაგზე პროფკავშირებისათვის ისმება ამოცანა უფრო დაუახლოვდენ მრეწველობის ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის საქმეს.

პროფკავშირებმა ზედმიწევნით უნდა მოახდინონ შერჩევა მუშათა მასებისაგან წამოწეულ ორგანიზატორებისა, რომელთაც შეუძლიათ დაიკავონ სახელმწიფო მრეწველობის ხელმძღვანელთა ადგილები. პარტიამ, პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა ამ მიზნით უნდა დააყენონ ამოცანა, სპეციალური სკოლების საშუალებით და აგრეთვე საწარმოო დაწესებულებათა სამეურნეო მდგომარეობის და მიმდინარე მუშაობის განხილვაში ფართო მასების ჩაბმით ასეთ მუშების—ხელმძღვანელების კადრის შექმნა. საწარმოო დაწესებულებათა კონფერენციები, რომლებზედაც საწარმოო ცხოვრების საკითხების განსახილველად, დასკვნების გამოსაყვანად გამოცდილების გასაზიარებლად უნდა იკრიბებოდნენ სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირების, პარტიის და უპარტიო მუშების წარმომადგენლები, უნდა მოწვეულ იქნას რეგულიარულად ამ კონფერენციებმა საშუალება უნდა მისცენ პროფკავშირებს ზედმიწევნით შეისწავლონ და კონტროლი გაუწიონ მუშაობის დაყენებას საწარმოო დაწესებულებებში და დახმარება გაუწიონ სამეურნეო ორგანოებს მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში, მომჭირნეობის უქონლობის, ზედდართულ ხარჯების და სხვა წინააღმდეგ ბრძოლაში.

4. საგარეო ვაჭრობა

პარტიის მთელი სამეურნეო პოლიტიკის ერთერთ მთავარ ელემენტად ითვლება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სავსებით გამართლებულია, კერძოთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, როგორც ქვეყნის სიმდიდრეთა დაცვის იარაღი ადგილობრივ და უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ და როგორც სოციალისტური დოვლათის დაგროვების საშუალება.

მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემის დაცვით ჩვენ მივაღწიეთ აქტიურ სავაჭრო ბალანსს და საგარეო ვაჭრობის შემოსავლის სახელმწიფოს ხელში დაგროვებას.

ხელს უშლის რა ხალხის ქონების გაფლანგვას ქვეყანაში ისეთი საქონლის შემოტანაზე, რომელიც ადგილობრივ შეიძლება დამზადდეს, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია იძლევა საშუალებას სახელმწიფოში შემოტანილ იქნას გეგმა შეწონილათ ისეთი პროდუქტები, რომლებიც საჭიროა ჩვენი მრეწველობის და გლეხურ მეურნეობის განვითარებისათვის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მომავალშიაც სავსებით უნდა იქნას დაცული, როგორც პარტიის სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში.

5. შინაური ვაჭრობა და კოოპერაცია

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ვაჭრობის ორგანიზაციას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ვინაიდან სავაჭრო აპარატის საშუალებით უნდა ხდებოდეს უშუალო კავშირის დამყარება ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობასა და გლეხურ ბაზარს შორის. კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ყოველმხრივი გაძლიერება და მათი სამოქმედო ასპარეზის გაფართოება წარმოადგენს სოციალისტურ მეურნეობის სფეროს გაფართოებას. კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის პოზიციების შესუსტება და კერძო შუამავლის, შემსყიდველის დ ვაჭრის პოზიციების გამაგრება წარმოადგენს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა სფეროს გაფართოებას. ამიტომ კოოპერაციისათვის ხელისშეწყობა და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარება, მათ მიერ, კონკურენციის საფუძველზე, კერძო კაპიტალის პოზიციების ხელში ჩაგდება, ამ კაპიტალის [illegible] მიერ ეკონომიურად მოხმარება წარმოადგენს პარტიის სამეურნეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას. ამავე დროს კრიზისმა გამოააშკარავა, რომ კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა არ სდგანან იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც დასმულია მათ წინაშე: სახელმწიფო მრეწველობასა და მასიურ მომხმარებელს შორის—უშუალო კავშირის დამყარება.

ამ ორგანოების არა-საკმარისი მოქნილობა და გაფანტულობა, სავაჭრო აპარატის მოუხეშაობა და ბიუროკრატიზმი, ზედდართულ ხარჯების სიდიდე, მასიურ მომხმარებლებთან სათანადო კავშირის უქონლობა, შეუფარდებლობა იმასთან, რომ მან დააკმაყოფილოს მრავალმილიონიანი დაქსაქსული გლეხობა, მოითხოვენ პარტიისაგან გულმოდგინე მუშაობას ამ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად. ვაჭრობის საკითხი დასმულია პარტიის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

6. კერძო კაპიტალი

სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ურთიერთობის საკითხი მეურნეობის დარგში არის დღევანდელ მომენტში მნიშვნელოვანი საკითხი, ვინაიდან იგი წინასწარ სწყვეტს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობიზე დაყრდნობილ პროლეტარიატის და თავისუფალ ბაზრის სტიქიაზე დაყრდნობილ ბურჟუაზიის ძალთა განწყობილების საკითხს. ამყარებდა რა იმ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს, რომელიც სავსებით გამართლებულია და რომელსაც არ ესაჭიროება გადასინჯვა, რაც იქნებოდა „სამხედრო კომუნიზმისათვის“ დაბრუნებისაკენ გადახრა, პარტია დასაშვებათ სთვლიდა კერძო კაპიტალის მიერ ვაჭრობის გზით არა მარტო განსაზღვრულ საშუალებების დაგროვებას, არამედ მის სარგებლობაში საწარმოო საშუალებათა ერთი ნაწილის (კონცესიების, იჯარის და სხვა) ნაწილობრივად გადაცემას. ამ უკანასკნელ დარგში კერძო კაპიტალის მონაწილეობა აბსოლიუტურად და შედარებითად ძალიან მცირეა. შედარებით კერძო კაპიტალის უფრო მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობაში აიხსნება მით, რომ იგი უფრო მეტად ეკვება წვრილ საქონლის ტრიალს და სოფლის დაქსაქსულ მომხმარებლების დაკმაყოფილებას.

სახელმწიფო კაპიტალს არ შეუძლია თავის ამოცანად დაისახოს დაქსაქსულ მწარმოებელ ასმილიონიან გლეხობასთან უშუალო კავშირის დამყარება, მაგრამ ამ დარგშიც კერძო კაპიტალის ზრდას საზღვარი უნდა დაედოს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის სამეურნეო როლის გადიდებით და სოფლის სავაჭრო ბრუნვის მოთხოვნილებებთან და პირობებთან შეგუებით.

კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ჩვენი პოზიციების გამაგრების ერთერთი მთავარ პირობათ ითვლება ფასების პოლიტიკა. იტოვებს რა თავის ხელში სოფლისათვის საჭირო პროდუქტების მთავარ მასას, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები და კოოპერაციები ჰყიდიან საქონელს კერძო ვაჭრებზე უფრო იაფად. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მასიური მომხმარებელი—მუშა და გლეხი აშკარად გრძნობენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის უპირატესობას კერძო კაპიტალის საფუძველზე მისი მოწყობასთან შედარებით. კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეკუთვნის უპირატესი როლი უმთავრესად საწვრიმალო ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც კოოპერატიულ ორგანიზაციებს გახდიან კერძო სავაჭრო კაპიტალის განდევნისათვის ნამდვილ იარაღად. (კოოპერაციისათვის კერძოთ დაბალ საფეხურის მუშათა კოოპერაციისათვის სახელმწიფო დახმარება, კოოპერაციის გადასვლა თავისუფალ წევრობაზე, ყურადღების ცენტრის გადატანა დაბალ კოოპერატიულ იაჩეიკების ქსელის გაფართოებასა და განმტკიცებაზე, მათ მიერ უშუალო სავაჭრო ურთიერთობის განხორციელება სახელმწიფო მრეწველობასთან, ზედდართულ ხარჯების სასტიკად შემცირება საშუალედო საფეხურებისა, რომელთა საშუალებით საქონელი მიდის მომხმარებელთან და სხვ.).

ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკის საერთო მიმართულებისათვის კერძო კაპიტალის დაქვემდებარების მიზნით უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ზომები მასიური მოხმარების საგნებზე ფასების მოსაწესრიგებლად.

მეორე მხრით კერძო დაგროვების (частное накопление) მოწესრიგება უნდა იქნეს მიღწეული საგადასახადო პოლიტიკის ზომებით. მტკიცედ უნდა გატარდეს გადასახადი ფუფუნებაზე და გაძლიერებულ იქნას ბრძოლა ბოროტ სპეკულიანტების და სხვ. წინაალმდეგ.

პარტიამ გადაჭრით უარჰყო სასურსათო გაწერა (**разверстка**) და მუშებისათვის ულუფების მიცემა მიანიჭა რა გლეხობას თავისი შრომის ნაყოფის თავისუფალი მოხმარების და გაყიდვის უფლება, პარტიამ ამით დაუშვა განსაზღვრულ ჩარჩობაში კერძო კაპიტალის მონაწილეობა საქონლის ტრიალში და მას არავითარი საფუძველი არ აქვს უარი სთქვას ამ პოლიტიკაზე. მაგრამ პარტიამ სისტემატიურად უნდა იმუშაოს თავისი პოზიციების გასამაგრებლად ამ დარგშიც და აწარმოოს დაულალავი და შეუპოვარი ბრძოლა მასიური გლეხთა ბაზრის დაპყრობისათვის.

7. ფინანსიური პოლიტიკა

ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის მთავარ ამოცანების განსახორციელებლად მეტად მნიშვნელოვან მოვლენად გასულ წელში ითვლება მტკიცე ვალიუტის—ჩერვონეცის შემოღება და მისი გადაქცევა ქვეყნის ძირითად ვალიუტად (ფულის ტრიალის საერთო მასის 350 მილიონიდან ჩერვონეცი შეადგენს უკვე 270 მილიონს, ე. ი. დაახლოვებით ოთხ მეხუთედს).

ჩერვონეცის შემოღება და მისი, როგორც მტკიცე ვალიუტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენი მთელი მეურნეობის წინმსვლელობის წყალობით—და ამტკიცებს ეკონომიური აღორძინების გზის სისწორეს, რომლითაც ჩვენ მივდივართ.

ჩერვონეცის ტრიალი დღეს არის ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის, სახელმწიფო მრეწველობის შემდეგი განვითარებისათვის. სახელმწიფო მრეწველობის აღნიშნული ზრდა გასულ წელში არ იქნებოდა შესაძლებელი ჩერვონეცის გარეშე. ჩერვონეცის ტრიალის საფუძველზე ტარდებოდა და ტარდება მრეწველობის, ვაჭრობის და სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიცემა. მრეწველობისა და ვაჭრობისათვის ბანკების საშუალებით კრედიტების მიცემამ უკვე საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ამ კრედიტმა შეადგინა სახელმწიფო ის სამანევრო ფონდი, ურომლისოდაც შეუძლებელია მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება. დაეყრდნო რა ამ კრედიტებზე, მრეწველობამ შეუჩერებლად განავითარა წარმოება და შესძლო შექმნა დიდი სავაჭრო ფონდი მოსავლის რეალიზაციის მომენტისათვის.

სამეურნეო ანგარიშის სასტიკი გატარება, თვით ღირებულების სწორი კალკულიაცია და ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებში, ტრესტებში სინდიკატებში და სავაჭრო ორგანიზაციებში ანგარიშის სწორი დაყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მტკიცე ჩერვონეცის წყალობით და მომავალშიაც ყველაფერი ეს კიდევ უფრო განმტკიცდება და გაუმჯობესდება იმავე ჩერვონეცის საშუალებით.

პარტიის შემდეგი პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს ჩერვონეცის სიმტკიცის დაცვაში და ფულის რეფორმის დაგვირგვინებაში. ფართო მასების ინტერესები მოითხოვენ ფულის რეფორმის დაგვირგვინებას, ე. ი. მერყევ ფულის ნიშნების შეცვლას მტკიცე ვალიუტით. ფულის რეფორმის დასრულება უნდა გახდეს საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მომავალ პერიოდში.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ხიზნავს გლეხთა მეურნეობის მდგომარეობის, მუშათა კლასის და საერთოდ მცხოვრებთა მშრომელ წრეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და მთელი მეურნეობის გაჯანსაღებას.

ფულის რეფორმის წარმატებით გატარება შესაძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო დეფიციტის მაქსიმალურად შემცირების და ყველა სამეურნეო ორგანოების მიერ სასტიკი ეკონომიის დაცვის დროს.

ყოველგვარ ფუფუნებასთან ბრძოლა არის, ამგვარად, საარსებო ეკონომიური მოთხოვნილება.

სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში საჭიროა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მიღწევები. შემოსავლის ნორმალური წყაროები იზრდებიან. ემისიის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მცირდება. მომავალში ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რათა არა მშრომელთა ფონების გადასახადით დაბეგვრით იქნას შევსებული სახელმწიფოებრივი საშუალებანი, არამედ სახელმწიფოს ქონებათა და წარმოებათა შემოსავლიანობის გაზრდის ხარჯზე.

ამასთან ერთად, უეჭველი გაუმჯობესება იტყობა თვით საბიუჯეტო გეგმების შედგენის საქმესაც. უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს რეალურ ბიუჯეტის შექმნას. მაგრამ მხოლოდ გასულ წელს ამ დარგში მიღწეულია მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი. პირველად ჩვენ გვაქვს ცხოვრებასთან ნამდვილი შესაფერისი საბიუჯეტო გეგმები, რომლებიც, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე დღემდის, ნებას გვაძლევენ გავითვალისწინოთ გაუმჯობესება სახელმწიფო მმართველობის და მეურნეობის დარგში.

უკვე ჩერვონეცის შემოღებამ გაადვილა აღრიცხვის შესაძლებლობა და, მაშასადამე, როგორც მეურნეობის, ისე ცალკე წარმოებათა გეგმაშეწონილი ხელმძღვანელობა. საბიუჯეტო გეგმების გაუმჯობესება იყო შემდეგი ნაბიჯი. მაგრამ მხოლოდ ფულის რეფორმის დასრულება ნებას მოგვცემს მტკიცე ფულის ერთეულის საფუძველზე შევიმუშაოთ მრეწველობის და ვაჭრობის რეალური ფინანსიური გეგმები, დავაწესოთ სწორი კალკულიაცია და მოვაწყოთ ნამდვილი ანგარიში.

ამგვარად, ფულის რეფორმა უნდა გახდეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წი-

60

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს 4 თებერვალს, საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება დელეგატთა საერთო-საქალაქო კრება გერმანიის მუშათა დახმარების ლიგის წევრებისა და ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

ყველა დელეგატ ქალების, ქალთა ორგანიზატორების და ლიგის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე კიდაიში.

— კვირას 3 თებერვალს. სად. 6 ნახ. საათზე მუსულმან-მასწავლებელთა წრეში ამხ. კაჯარის მოხსენება.

— სამშაბათს 5 თებერვალს. სად. 6 საათ. მათემატიკოსთა წრეში დანიშნულია მოხსენება სომხურ ენაზე: შრომის სკოლის მე-5 ჯგუფში შედარებითი რიცხვებზე ოთხი მოქმედება დიაგრამების დახმარებით.

ტფილისის ცენტრალური პარტკლუბის გამგეობა აუწყებს პარტიის ყველა წევრებს, რომ პარტკლუბთან მუშაობას იწყებს მარქსისტული, ფილოსოფიური, და პარტიულ ისტორიის ჯგუფები.

სამშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მოხდება საორგანიზაციო კრება პარტიის ისტორიის შემსწავლელი ჯგუფისა.

ყველა ამხანაგები, რომლებიც ჩაწერილნი არიან ამ წრეებში, აგრეთვე მათს მუშაობაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდენ პარტიულ კლუბში, ზემოაღნიშნულს დროს, საორგანიზაციო კრებაზე.

პარტიულ კლუბში გრძელდება ჩაწერა **ლენინის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო, ანტირელიგიოზურ და სალიტერატურო—სამხატვრო** სექციებში (კირკის ქ. მუშკოპის ბინა)

პარტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე მ. ესსენი

ტ. კ—ტის. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს კვირას, 3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, პარტიულ კლუბში (კირკის ქ. მუშკოპის ბინა) სოფლებზე, კულტშეფობის კომისიათა თათბირს.

დღის წესრიგი:

1. საშეფო კომისიათა ანგარიში.
2. საშეფო კომისიათა მორიგი ამოცანები უპარტიო გლეხთა კონფერენციებთან დაკავშირებით.

ტ. კ—ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში

— 1924 წ. 3 თებერვლიდან სად. 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ № 8) მოეწყობა „მასწავლებელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადამზადების კვირეული“ წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებები.

1. ლენინი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.
2. მასწავლებელთა და სკოლების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. კლასთა ბრძოლა საზოგადოებაში.
4. საბჭოთა წესწყობილობა, პროლეტარიატის დიქტატურა. ს. ს. რ. კ. კონსტიტუცია.
5. რევოლუციონურ მოძრაობათა ისტორია და რ. კ. პ. როლი.
6. დიალექტიკა.
7. რელიგია და კომუნიზმი.

მომხსენებლად იქნებიან ამხ. ამხ. [illegible] ტ. ორახელაშვილი, კახიანი, დუდუჩავა, პუნიაკოვი, აფაგარიანი [illegible].

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ჩიტი, შვილები მარგარიტა, ვალერიანი და ვლადიმერი კოკაიები, ცოლის და ხინა და ქვისლი ონისიმე ხუნდაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ა. წ. ორ იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

ალექსი მიტროს ძე

კოკაია

ქ. ქუთაისში დაიკრძალა სოფელ ნაჯახოუს წმინდა გიორგის სასაფლაოზე, სადაც იქნება გარდახდილი პანაშვიდი ორმოცი დღის თავზე ა. წ. 11 თებერვალს დილით სამშაბათს

485—1—1

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი, ნესტორ კონსტანტინეს ძე ლექვინაძე, შვილები: მიტუშა და ქეთუშა, და მაშიკო გორდაძისა, დის წულები: ნინა, მიშა, ჟორა, ანტუშა და რეზიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ვერა თედორეს ასული

ლექვინაძისა

გამოსვენება დღეს დილიდან საკუთარი სახლი ტრამვაის ქუჩა № 15. პეტრე პავლეს სასაფლაოზე სამშაბათს დილით 9 საათზე. პანაშვიდი ორშაბათს საღამოს 5 საათზე. 486 1—1

განცხადება ყველას საყურადღებოდ

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოთ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, რომ ქ. ტფილისში მას ჰყავს კონტრაგენტი, რომელიც აწარმოებს ხელ-მოწერას მარტოდ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, რომელსაც აქვს ექსპედიციიდან მიცემული სათანადო მანდატი, რომ ვინმემ არ ისარგებლოს შემთხვევით. ექსპედიცია სთხოვს, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო ხელმომწერთ, როდესაც მათგან ღებულობს აგენტი ხელმოწერას მოსთხოვოს მას საამისო მანდატი.

ზემოაღნიშნული ზომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ექსპედიციაში ხშირად მოდიან, როგორც დაწესებულებებიდან, ისე კერძო პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათგან მიუღიათ ვიღაცას ხელმოწერა, როგორც მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, ისე ადგილობრივის. აცხადებს რა ამას, ექსპედიცია ამით აუწყებს, რომ ასეთი შემთხვევებში პასუხისმგებლობას ის არ ღიილებს თავის თავზე.

უფ.—8—1 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

განცხადება

ტფილისის კომუნალური წყალსადენი

ა. წ. 9 თებერვალს, დღის 12 საათზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

წყალსადენის სადგურის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხნივ ნაპირას, ქვა-წყნელის კაშხალის 520 კუბ. საჟ. გაყვანის შესახებ.

ცნობების მიღება შეიძლება წყალსადენის კანცელარიაში თავისუფ. მოედანი № 3 აღმასკომის შენობაში. ტორღი იქნება წყალს. დირექტორის კაბინეტში (ოთახი № 60).

კომუნ. მეურნ. გამგე: ახრიევი.

წყალსად. დირექტორი ინჟენერი დიასამიძე.

872—1—1 კანც. გამგე ნ. გურიშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. შინავაჭრობის კომისიის

დადგენილება № 1.

1.

ნავთის ფასის შესახებ

ნავთზე არსებულ ფასების შესაცვლელად საქ. ს. ს. უ. ს. საბჭოს [illegible] ყოფილების საწვრილმანო ნავთის [illegible], ქ. ტფილისში, გასაყიდი ფასი ა. წ. თებერვლის 1 დან დაწესებულ იქნეს ფუთზე 1 მან. და 62 კაპ. ჩერვ.

2.

ელექტრონის ენერგიის ტარიფის შესახებ.

ა. წ. თებერვლის 1-დან ქ. ტფილისში ელექტრონის ენერგიით სარგებლობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ტარიფი:

1. სამხედრო მოსამსახურენი და სამხედრო დაწესებულებანი	20 კაპ.—1 კილ. საათი. 4 „ —1 სანთ. თვეში
2. ბინები და სახელმწიფო დაწესებულებანი (გარდა სამეურნეო ორგანოებისა)	35 კაპ.—1 კილ. საათი. 7 „ —1 სანთ. თვეში
3. სახელმწიფო, საქალაქო და სამხედრო სამეურნეო დაწესებულებანი	40 კაპ—1 კილ. საათი. 8 კაპ.—1 სანთ. საათ.
4. კერძო სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი განაპირა უბნებში და მოტორები	45 კაპ.—1 კილ. საათი. 9 „ —1 სანთ. თვეში
5. იგივე მთელ ქალაქში, გარდა ცენტრალურ რაიონებისა	55 კაპ.—1 კილ. საათი. 11 „ —1 სანთ თვეში
6. იგივე ცენტრალურ რაიონებში	65 „ —1 კილ. საათი. 13 „ —1 სანთ. თვეში.

საქ. ს. ს. რ. შინავაჭრობის კომისიის თავმჯდომარე ამაძოვი.

1924 წ. იანვრის 31.

870 3—2

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. [illegible] ქუჩა № 28. [illegible]ქასოთ. 25—28

ომის ინვალიდთა სავაჭრო-სამრეწველო არტელი
„განთიადი“
გამგეობა: მაიდანი. 2, ტელ. 18—88.
არტელის მაღაზიები და საწყობები:
1. ღვინის და გასტრონომიული მაღაზია—სოლოლაკის, 4.
2. საპარფიუმერიო, საგალანტერიო-ფერთლეულობის საწვრილმანო მაღაზია—სოლოლაკის, 4.
3. საბითუმო საწყობი კოლონიალურ საბაყლო საქონლის—მაიდანი, 2.
4. გლეხობისათვის საჭირო საქონლის ცენტრალური საწყობი (მანუფაქტურა, ნავთი, მარილი, შაქარი, საპონი, რკინეულობა) სითაროვის პასაჟი, ბზის მოედანი.
5. ფერთლეულობის საბითუმო-საწვრილმანო მაღაზია—ებრაელების პასაჟი.
6. გლეხ. საქონლის საწვრილმანო მაღაზია—საბურთალო.
7. გლეხ. საქონლის საწვრილმანო მაღაზია—ვორონცოვას, 28.
8. გლეხ. საქონლის საწვრილმანო მაღაზია—კახეთის, 6.
საპნის ქარხნები:
1. კახეთის ქ. № 68.
2. 19 თებერვლის ქ. მუხრანის ხიდთან.
ნიხ. 871 1—1.

სრულიად რუსეთის სამკ. მრეწველობის სინდიკატის
ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება
„სინდშვეიპრომ“ და „აზოდეჟდა“
ყველას აძლევს საშუალებას მოირთონ ტანთსაცმელთა მაღაზიებში თავისი დამზადებულ საქონლით.
ტფილისი: რუსთაველის პროსპექტი № 10 ტელ. № 6—78.
ბაქო: 28 აპრილის ქუჩა, ყოფილი ტელეფონის, № 6—1, კრივაია № 2.
მუშებსა და მოსამსახურეებზე კოლექტიურად ნისიად გაცემა
ყველა დ წესებ ლებებს, პროფკავშირებს, სამხედრო ნაწილებს, კოოპერატივებს შეუძლიათ მიიღონ 25-30 პროც. დაკლებით ნისიად ოთხი თვის ვადით საჭირო
დამზადებული ტანთსაცმელი განუსაზღვრელ რაოდენობით.
დაწვრილებით ადგილობრივ. ✕ ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების გამგე: ზ. ბაჯიევი.
კრ 873 4—1. ტფილისის განყ. გამგე: ძანდე.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ[illegible]
მიხეილ მაღლაკელიშვილის სახლთან
[illegible] რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორგანოვის ქ № 20. 126—25—10

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 188 მიხეილ ჩიტიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

483—1—1

დაიკარგა პასპორტი, პირადობის მოწმობა და [illegible] გაუქმებულად.

484—1—1

დაიკარგა დოკუმენტი მე-292 მსროლელ ფეხოსან პოლკში ნამსახურების შესახებ, № 6003. კონსტანტინე კირთაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

უფ.

ნასწარ პირობათ სახალხო მეუ[illegible]ბის სხვადასხვა ნაწილებს შორის შეთანხმებული მუშაობის გასაძლიერებ[illegible] რეალურ სა[illegible]ლად და ის [illegible]ურნეობის ნამდვილ გეგმაშეწონილ ხელმძღვანელობისათვის.

8. გეგმაშეწონილი პრინციპის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ

დიდი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის სიჭარბის, ჩვენს მეურნეობაში მსოფლიო ბაზრის და მისი ფასების მნიშვნელობის თანდათანი ზრდის დროს, სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობა მოსპობდა კრიზისის შესაძლებლობის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

მაგრამ კრიზისი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ხაზს უსვამს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების შეთანხმებისათვის მუშების გაძლიერების აუცილებლობას და გეგმიანი დასაწყისის გაძლიერებას სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

გაცილებით უფრო მეტად, ვინემ დღემდე, პარტიამ უნდა შეისწავლოს სახელმწიფო მეურნეობის ელემენტების შეთანხმება მათ ურთიერთობაში როგორც ერთმანეთთან, ისე ბაზართან. ეს ამოცანა ადვილდება მით, რომ ახლა ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან წარმატებებს გეგმიანი ხელმძღვანელობის ძირითადი წინასწარი პირობები შექმნაში, ურომლისოდაც გეგმიანობა ადვილად გადაიქცეოდა ბიუროკრატიულ უტოპიათ. ნაყოფიერი გეგმიანობის ეს წინასწარი პირობების მდგომარეობენ: 1) მტკიცე ვალიუტის შექმნაში, 2) კრედიტის მოწყობაში, 3) მატერიალური ფონდების დაგროვება, რომელთა დაბანდვა შეიძლება სხვადასხვა საჭიროებისათვის, 4) მეურნეობის ორგანიზაციის განსაზღვრულ ფორმების (ტრესტები და სხვ) განხორციელებასა და განმტკიცებაში, 5) მთელ რიგ ცალკე, გამოცდილების საფუძველზე აგებულ გეგმების და პირველყოვლისა რეალურ საბიუჯეტო გეგმების არსებობაში და სხვა.

ამ პირობათა არსებობა გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვინემ დღემდე იყო, საგეგმო სახელმწიფო ორგანოების უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. დღის წესრიგში სდგას სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს გაძლიერება, მისი როლის გადიდება საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკის დარგში, უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება მის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შინაგანი ვაჭრობის კომიტეტის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სხვ. მუშაობათა შორის, მისი ადგილობრივ ორგანოების გაძლიერება და სხვ.

სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს უახლოეს ამოცანას უნდა შეადგენდეს არსებულ საბაზრო კონიუნქტურის სისტემატიური შესწავლა და ძირითად ღონისძიებათა გამომუშავება არსებულ საბაზრო ურთიერთობაზე მოქმედების მოხდენის მიზნით.

კერძოთ კი, კოოპერაციის როლის თანდათანობით გაძლიერების გამო სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობას შორის სამეურნეო ურთიერთობის დამყარებაში, სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ თავის საგეგმო მუშაობის წესრიგში უნდა შეიტანოს კოოპერაციის სამეურნეო მუშაობის განხილვა და მისი დაკავშირება სახელმწიფო მეურნეობასთან.

სახელმწიფო გეგმათა სამმართველოსთვის აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა აქნეს ისეთი ადგილი, რომელიც ნაჩვენებია პარტიის მე-12-ე ყრილობის რეზოლიუციაში.

სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს თავმჯდომარეთ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ერთ-ერთი მოადგილის დანიშვნა უზრუნველყოფს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს უახლოეს მონაწილეობას ყველა მიმდინარე საკითხების გადაჭრაში.

9. პრაქტიკული დასკვნები

ა) სასოფლო-მეურნეობის დარგში:

1) სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ნედლი მასალის კულტურების, მესაქონლეობის და სხვ. განვითარება მთელ რიგ წამაქეზებელ ზომების გზით (შეღავათი გადასახადზე, კრედიტი და სხვ.);

2) პურის ექსპორტის ყოველმხრივი განვითარება, რათა გლეხების პურის ზედმეტ ნაწილს გასავალი ექნეს მსოფლიო ბაზარზე და მით მიღწეულ იქნეს გლეხური მეურნეობისათვის უფრო ხელსაყრელი ფასები პურზე; ამავე მიზნით—ზედდართულ ხარჯების მაქსიმალური შემცირება პურის დამზადებაზე და ექსპორტზე;

3) მიღებული იქნეს ყოველივე ზომები პურის სახელმწიფო ვაჭრობის მოწყობისათვის შინაურ ბაზარზე ისეთ ფორმებში, რომლებიც უზრუნველყოფენ პურის ფასების სიმტკიცეს (პურის სათანადო რაოდენობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაზიდვა, ტარიფების მოგვარება, ელევატორების ქსელის განვითარება და სხვ.);

4) სოფელში სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოოპერაციის ქსელის გაფართოება, რომელიც წარმოადგენს ძირითად ორგანოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და გლეხობისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდებისათვის;

5) სასწრაფო ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარებისათვის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის და დაბალ სამეურნეო ამხანაგობათა საშუალებით, რათა პირველ ყოვლისა გლეხებს გლეხთა ამხანაგობებს და კოლექტიურ მეურნეობებს მიეწოდოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები ხელმისაწვდომ ფასებში გრძელი ვადიანი კრედიტის საფუძველზე;

6) 24 წლიდან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფულით აკრეფაზე გადასვლა გადასახადზე მტკიცე ვალიუტით გამოანგარიშებით;

7) 1924 წლიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე ფართე შეღავათების დაწესება ღარიბ გლეხთა მეურნეობათათვის;

ყოველივე დახმარება გაეწიოს „ბატრაკულ“ ელემენტებს (სრ რუსეთის მიწა ტყის მუშაკთა კავშირი) და გლეხობის ღარიბეს ელემენტების ორგანიზაციებს.

8) ბოლო მოეღოს სოფელში ადგილობრივ ორგანოების მიერ უკანონო დამატებითი გადასახადების აკრეფას ისე, რომ ნებაყოფლობითი გადასახადი დაშვებულ იქნეს მხოლოდ ცენტრალურ ორგანოების ნებართვით, თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

9) გადასინჯულ იქნეს „სახელმწიფო დაზღვევის სისტემა იმ მხრით, რომ განსაზღვრულ იქნენ დაზღვევის იძულებითი ფორმები მისი ისეთი ზომებით, რომლებითაც ყველაზე მეტად უფრო დაინტერესებული არიან გლეხობის ღარიბი ფენები, ამავე დროს სათანადოთ შემცირებული უნდა იქნეს დასაზღვევი გადასახადი, ღატაკებისათვის, და რომ ნებაყოფლობით დაზღვევაზე გადასვლა მოხდეს მის ისეთ დარგებში, რომლებშიაც გლეხობის ფართო მასები ნაკლებად არიან დაინტერესებული.

ბ) მრეწველობის დარგში:

1) წარმოების რაციონალიზაცია და შრომის ნაყოფიერების გადიდება.

2) წარმოებათა დატვირთვის გაძლიერება და დაკვეთების გეგმაშეწონილი განაწილება, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიაში;

3) დანართი ხარჯების შემცირება მრეწველობის ორგანიზაციის გამარტივების, მოსამსახურეთა რიცხვის შემცირების და სხვ გზით.

4) გაიაფება მრეწველობის ნედლი, სათბობი და დამხმარე მასალების როგორც დასამზადებელ ხარჯების შემცირების, ისე უცხოეთიდან იაფი ნედლი მასალის შემოზიდვის გზით;

5) მრეწველობის კალკულიაციის მოწესრიგება მისი სისწორისათვის სასტიკი პასუხისმგებლობის შემოღებით;

6) ტრესტების და წარმოებების დირექტორების და ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობათა სისწორით განსაზღვრა „გლავკიზმის“ ნაშთების სრული ლიკვიდაციის მხრივ;

7) სამრეწველო დაწესებულებებში და გაერთიანებებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სისტემატიურად მეურნე პრაქტიკოსების წამოყენება მუშებისაგან;

8) სრული დახმარების აღმოჩენა მეურნეებისათვის მათ ძნელ მუშაობაში სამრეწველო აღმშენებლობაში კერძო კაპიტალისტთან გაფართოებული ბრძოლის პირობებში;

9) გაძლიერებულ იქნეს პროფკავშირების მონაწილეობა სამეურნეო ორგანოებზე ხელმძღვანელობის, მათ მუშაობისათვის კონტროლის გაწევის და სამეურნეო მუშაკების შერჩევის საქმეში;

10) დაახლოვებულ იქნან პარტიული ორგანიზაციები წარმოებასთან პარტიულ უჯრედებისათვის წარმოებებში და გაერთიანებებში მუშაობის შესახებ რეგულიარულად ინფორმაციის მიწოდების, სამეურნეო ორგანოების მუშაობის ყოველმხრივი და თავისუფალი განხილვის და სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებისათვის ზომების შემამუშავებლად ცალკე ამხანაგობათა ინიციატივის წაქეზების გზით.

გ) სამუშაო ხელფასის დარგში:

1) აღებულ იქნეს სამუშაო ხელფასის გადიდების კურსი მრეწველობის და შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან შეფარდებით;

2) შემოღებულ იქნეს სასტიკი სასჯელი სამუშაო ხელფასის დარიგების დაგვიანებისათვის; ამავე დროს მუშებს აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეს საბჭოთა ფულის ნიშნების კურსის განსხვავებით გამოწვეული დანაკლისი სამუშაო ხელფასის დარიგების დაგვიანების შემთხვევაში.

3) აკრძალული იქნეს უთავბოლოდ ჯილდოს დარიგება, ხოლო უკანასკნელი დაშვებულ იქნეს წმინდა მოგებიდან და ისიც ცალკე, განსაკუთრებულ კეთილსინდისიერ და დამსახურებულ მუშაკებისათვის პროფკავშირების თანხმობით.

4) გაუმჯობესებულ იქნეს მუშების საბინაო პირობები, ცნობილი იქნეს მორიგი ამოცანად სახელმწიფო კრედიტის უზრუნველყოფა საბჭოთა საბინაო აღმშენებლობისათვის.

5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დასაზღვევ გადასახადების შეტანას, რათა პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნეს უმუშევართა ის ნაწილი, რომელიც შესდგება ჭეშმარიტად პროლეტარულ ელემენტებისაგან და რომლებიც ყველაზე პირველად ჩაბმული უნდა იქნენ წარმოებაში უკანასკნელის გაფართოებისას.

დ) საგარეო ვაჭრობის დარგში:

1) მიღებულ იქნეს ახალი ზომები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განსამტკიცებლად;

2) მოზიდული იქნეს უცხოეთის კაპიტალი საგარეო ვაჭრობის საქმეში, წაქეზებულ იქნეს ექსპორტისა და იმპორტისათვის შერეულ საზოგადოებათა მოწყობა;

3 გატარებულ იქნას ცხოვრებაში ძირითად სამეურნეო გეგმებთან დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტის გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს სავაჭრო ბალანსს (გაზიდვის გადაჭარბება შემოზიდვაზე) და საბჭოთა მრეწველობის მომარაგებას იაფი ნედლეულით, მასალებით, ნახევარი ფაბრიკატებით;

4) მაქსიმალური განვითარება უცხოეთის კრედიტისა ექსპორტისათვის.

ე) შინაური ვაჭრობის დარგში

1) გაფართოება ყველა ქვედა სავაჭრო აპარატის, განსაკუთრებით ქვედა კოოპერატიული ქსელის, მომხმარებელთა ინტერესების ყურადღებით დაცვის ნიადაგზე (იმ საქონლის ასორტიმენტის შემოღება, რომელიც აუცილებელია მასიურ მომხმარებლისათვის და სხ.) და ურთიერთობის მოგვარება კერძო სავაჭრო შუამავლებთან უკანასკნელების კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის დაქვემდებარების მხრივ (ცალობითი ფასების მოგვარება, საქონლის ინტერვენცია და სხ.)

2) გაძლიერებული იქნეს საბითუმო ფასების მოგვარება პირველყოვლისა მასიური, უმთავრესად, საგლეხო მოხმარების საგნებზე, გავრცელდეს ის ცალობით ფასებზედაც საბითუმო ორგანოების მიერ კოოპერაციისათვის ისეთი დამატების დაწესება, რომლის გადალახვა არ შეიძლება, სახელმწიფოს მხრივ განსაზღვრულ საქონლის მასების მანევრების მოხდენით სათანადო რაიონებში ფასების დაწევის მიზნით და დასასრულ, საკრედიტო პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება პირველყოვლისა დაბალ სავაჭრო ორგანოებისათვის სამსახურის გაწევისაკენ.

3) გაძლიერებულ იქნეს კანონმდებლობის წესით ადგილობრივ მომწესრიგებელ ორგანოების გავლენა შინაგანი ვაჭრობის დარგში დასახულ ზომების გატარებაზე ფასების მოსაწესრიგებლად და ნორმების შესამუშავებლად.

4) აუცილებლად იქნეს ცნობილი ფასების გამომუშავება მარილზე, ნავთზე და შაქარზე ყველა სახის ვაჭრობაში (კოოპერატიულ სახელმწიფო და კერძო ვაჭრობაში).

5) შეიცვლილ იქნეს არსებული სისტემა ცენტრალიზაციაქმნილ შესყიდვებისა უმაღლეს ორგანოების საშუალებით და წაქეზებულ იქნეს უშუალო გარიგებანი დაბალ სავაჭრო ორგანიზაციებსა, ფაბრიკა-ქარხნების გაერთიანებათა და სავაჭრო საწყობებს შორის, სათანადოთ შეიცვალოს აგრეთვე კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის კრედიტების მიცემის სისტემა;

6) აუცილებლად იქნეს ცნობილი სინდიკატების არსებულ სისტემის გადასინჯვა, რათა მათ შორის გაუქმებული იქნენ ისეთები, რომელთა ეკონომიური მიზანშეწონილება არ იქნება დამტკიცებული და განისაზღვროს, როგორც წესი, ჩამორჩენილ სინდიკატების სავაჭრო მუშაობა საბითუმო ვაჭრობის ჩარჩოებით;

7) გადასინჯულ იქნეს რკინისგზებზე არსებული ტარიფები მასიურ ტვირთების გადატანის გაიაფების მიზნით;

8) მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები სავაჭრო დანართი ხარჯების შესამცირებლად, რისთვისაც საჭიროა სავაჭრო წარმომადგენლობათა რაოდენობის შემცირება ცენტრში და ადგილებზე, კონტრაგენტების კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების გამოყენება დასასრულ, ზედმეტი ფუფუნების შემცირება (მორთულობა, გადასაზიდი საშუალება, რეკლამა და სხვ).

9) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განაპირა ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში ადგილობრივ მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების დაცვას მასთან როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ურთიერთობის დაკავშირების დროს.

10) გამოყოფილ იქნეს მუშაკების სპეციალური რეზერვი კოოპერაციის და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების გასაძლიერებლად;

11) დაწესდეს სწორი [illegible] ანგარიში სავაჭრო ორგანოების.

ვ) ფინანსების დარგში:

1) დაწესებულ წლიურ ბიუჯეტის სისწორით შესრულება დეფიციტის ჯამის იმ ჩარჩოებში განსაზღვრით, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში;

2) გადასვლა მტკიცე ვალიუტაზე, განუმტკიცებელ საბჭოთა ნიშნების ემისიის შეწყვეტა და გამოშვება არა უგვიანეს გაზაფხულისა, სასოფლო სამეურნეო გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებით, მტკიცე ხურდა ვალიუტის ჩერვონცზე ნაკლები კუპიურებით და წვრილი ვერცხლის ფულის;

3) აქციზების შემცირება მასიური მოთხოვნილების საგნებზე, პირველყოვლისა მარილზე, ნავთზე და შაქარზე—რაფინადზე;

4) კრედიტის გაიაფება მრეწველობისა და პურის დამზადებისათვის და კრედიტის დეცენტრალიზაცია ქვედა სამეურნეო ერთეულებთან მისი დაახლოებით;

5) ყოველმხრივ იქნეს გამოყენებული კრედიტის მომწესრიგებელი როლი, მოხდეს სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებების მუშაობის კოორდინაცია სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს საშუალებით იმ ორგანოებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ მრეწველობას და ვაჭრობას.

ი) გეგმიანი მუშაობის დარგში:

1) სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს როლის გაძლიერება შრომის და თავდაცვის საბჭოსათვის რეალურ სამეურნეო გეგმების შემუშავებაში, სახალხო მეურნეობის ელემენტების დაკავშირების და საბაზრო ურთიერთობათა მოგვარების საქმეში სამეურნეო კონიუნქტურათა სისტემატიური შესწავლის ნიადაგზე;

2) სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს მიერ ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შინაური ვაჭრობის კომიტეტის და სხვა სამეურნეო სახალხო კომისარიატების მუშაობის მჭიდრო შეკავშირება, აუცილებლად ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მუშაობის საერთო გეგმა უნდა ეთანხმებოდეს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს გეგმას;

3) სახელმწიფო გეგმათა სამმართველო გაძლიერებული იქნეს ახალი მუშაკებით.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საზა წულუკიძის ქუჩა № 4.